პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი, 18 მარტი 1937 წ. № 63 (4864)

**თექვსმეტი წლის წინათ აჭარის ხალხმა დაამსხვრია ევროპის იმპერიალიზმისა და ქართული სისხლიანი მენშევიზმის ბორკილები.**

**ჰყვავის, ჰხარობს, იფურჩქნება სოციალისტური აჭარა — საბჭოთა საქართველოს მარგალიტი.**

**თავისუფალ, ბედნიერ აჭარელ ხალხს — ძმური სალამი!**

XVI

## საბჭოთა აჭარა

მეტად მწარე იყო აჭარის მშრომელთა ხვედრი წინათ. სულთანისეული ურდოები სამნახევარ საუკუნეზე მეტს დათარეშობდნენ აჭარაში.

ეს ურდოები შემდეგ მეფის რუსეთის სატრაპებმა შესცვალეს.

მწარე მოგონება დაუტოვეს აჭარის ხალხს ქართველი ხალხის მტერმა მენშევიკებმა თავისი სამარცხვინო ხანმოკლე სისხლიანი ბატონობით. აჭარაში მაშინ ევროპის იმპერიალისტთა ბატონობა დამყარდა. აჭარა ხელიდან ხელში გადადიოდა. გერმანელებს ინგლისელები სცვლიდნენ, ინგლისელებს—ფრანგები, ხოლო ფრანგებს—იტალიელი იმპერიალისტები. ქართველი მენშევიკები და ევროპის იმპერიალისტები სძარცვავდნენ, აწიოკებდნენ აჭარის მშვიდობიან ხალხს.

1921 წლის 18 მარტს, სწორედ იმ დღეს, როცა 50 წლის წინეთ პარიზის კომუნარებმა დაამხეს ბურჟუაზიის ბატონობა, აჭარის მშრომელებმა ბოლო მოუღეს დაუსრულებელ ჩაგვრას და ბედნიერებისა და შვების ლენინური დროშა აღმართეს. ამ დღეს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის და საქართველოს მშრომელი ხალხის დახმარებით აჭარის ხალხმა ბოლო მოუღო იმპერიალისტთა და მენშევიკთა ბატონობას.

ამ დღიდან იწყება აჭარის მშრომელი ხალხის ნამდვილი ისტორია, ისტორია განახლებისა, აყვავებისა, აღორძინებისა. საამაყო ბათომის პროლეტარიატის რევოლუციური წარსული, რევოლუციის აკვანი აქ პირველად ჩვენმა დიდმა ბელადმა დაარწია. მისი მეთაურობით [illegible]

აჭარის უხვი ბუნება სუბტროპიკულ და ნარინჯოვან კულტურათა თვალწარმტაც ოკიანედ გადაიქცა. გასულ წელს აჭარის მშრომელებმა სოციალისტურ სამშობლოს ჩააბარეს 5185 ტონა ჩაის ფოთოლი და 130 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი. აჭარის მშრომელები გმირულად იბრძვიან ჩაის პლანტაციათა ფართობის გადიდებისათვის, მისი მოსავლიანობის ერთიორად გაზრდისათვის. ისინი გმირულად იბრძვიან, რომ შეასრულონ ჩვენ მიერ დიდი სტალინისათვის მიცემული დაპირება, მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის ციტრუსოვანთა 500.000.000 ნაყოფის მიცემის შესახებ.

ამ საარაკო მიღწევებთან ერთად გაიზარდა აჭარის მშრომელი ხალხის მატერიალური და კულტურული დონე. ამის უტყუარი მაჩვენებელია მზარდი საქონელთბრუნვა, რომელიც გასულ წელს 174847000 მანეთს უდრიდა.

შეუდარებლად გაიზარდა აჭარის მშრომელთა კულტურული დონე. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წერა-კითხვის მცოდნე რამდენიმე ათეული იყო, 16 წლის მანძილზე აჭარაში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 83 პროცენტამდე ავიდა. აჭარა სასწავლებლების ქსელითაა დაფარული. დაწყებითი სკოლებში შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლა. არასრულ საშუალო, საშუალო სკოლებში და ტეხნიკუმებში სწავლობს 31170 მოწაფე, მათ შორის 5939 აჭარელი. აჭარელმა ქალმა მამაკაცთან სრული თანასწორუფლებიანობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ [illegible]

### ბათუმი

## ცაკი - ამხ. ლორთქიფანიძეს
## საოლქო კომიტეტი — ამხ. გეურქოვს

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მიესალმება აყვავებული აჭარის მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეთექვსმეტე წლისთავზე.

განვლილი თექვსმეტი წელი წარმოადგენს იმ გრანდიოზულ მიღწევათა პერიოდს, რაც აჭარის მშრომელებმა ძლევამოსილი კომუნისტური პარტიის და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მითითებით და გამობრძმედილი ბოლშევიკის, საუკეთესო სტალინელის ლავრენტი **ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით მოიპოვეს სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტზე. მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მისცეს ბეგების ბატონობის ქვეშ განაწამებ აჭარის ფუხარა ხალხს ნამდვილი თავისუფლება, ლენინ-სტალინის გენიოსურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ მისცა დაჩაგრულ ხალხებს გასაქანი თავისუფალი შემოქმედების გზით აყვავებისა და საამური ცხოვრებისაკენ.

დღეს, როდესაც საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, როდესაც სტალინური კონსტიტუცია ყველა მოპოვებულ მიღწევებს მშრომელთა საკუთრებად აკანონებს, ერთიორად იზრდება მშრომელთა შრომის ენთუზიაზმი შემდგომი წინსვლისა და ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. აჭარის მშრომელებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ მოპოვებული გამარჯვებებით სამეურნეო და კულტურულ დარგებში.

გისურვებთ ახალი [illegible] წინსვლას შემდგომი წარმატებებისაკენ.

გაუმარჯოს აჭარის მშრომელებს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და ხალხთა საყვარელ ბელადს მშობლიურ სტალინს!

**საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**გ. მგალობლიშვილი**

### უკანასკნელი ცნობები

## რესპუბლიკელთა სამხედრო ნადავლი

**პარიზი**, 16 მარტი (საქდესი). როგორც მადრიდიდან იუწყებიან, რესპუბლიკელთა ჯარებმა შეაჩერეს მეამბოხეთა შეტევა გვადალახარზე და მოსპეს მეამბოხეთა მრავალი ტანკი, რის შემდეგ ისინი გადავიდნენ კონტრიერიშზე, რომელიც წარმატებით გრძელდება.

გვადალახარის სამ[illegible]თით უკანასკნელად შემხვარი [illegible] ბრძოლებ[illegible] დროს რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს 100-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, ზარბაზნები, ტანკები იტალიური წარმოებისა და მრავალი სატვირთო მანქანა. ერთი მათგანი დატვირთული იყო ცრემლმდენი გაზის შემცველი ყუმბარებით. ტყვედ წამოყვანილ იტალიელთა განცხადებით, იტალიელთა ჯარებს უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში მოუკლეს და დაუჭრეს 1,500 კაცი.

## მდგომარეობა ესპანეთში

### ალვარეს დელ ვაიოს განცხადება

**ვალენსია**, 16 მარტი. (საქდესი). ფაბრის სააგენტო იუწყება: „უპასუხებდა რა უცხოელ კორესპონდენტთა კითხვას, თუ რა აქვს ესპანეთის მთავრობას განზრახული ერთა ლიგისადმი გაგზავნილ უკანასკნელ ნოტასთან დაკავშირებით, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალვარეს დელ ვაიომ განაცხადა: „1936 წლის დამლევს ესპანეთმა, ემყარებოდა რა ერთა ლიგის წესდების მე-11 მუხლს, მოითხოვა ლიგის საბჭოს მოწვევა. ესპანეთი მაშინ ჟენევაში გამოცხადდა სრულიადაც არა იმისათვის, რათა წამოეყენებინა მხოლოდ ესპანეთისათვის საინტერესო რაიმე მოთხოვნა, არამედ იმისათვის, რათა ერთა ლიგა გაეფრთხილებინა იმ საქმის ვითარების გამო, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობიანობის საქმისათვის. ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც მოწვეულ იქნა ჩვენი ინიციატივით, და რომელმაც ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, მე ჩემს მოვალეობად ვცანი განმეცხადებინა, რომ სანამ იარსებებს ის გარემოება, რამაც ერთა ლიგისადმი ჩვენი მიმართვა გამოიწვია, ჩვენ მიერ აღძრული საკითხი ღიად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ზემოაღნიშნული რეზოლუცია ვერ სწყვეტს ამ სერიოზულ პრობლემას.

უკანასკნელ ჩემს ნოტაში ჩვენ მხედველობაში გვქონდა გვეცნობებინა ერთა ლიგის გენერალური მდივნისათვის და მისი მეშვეობით ლიგის ყველა წევრისათვის—მაშასადამე, საბჭოებისთვისაც—ის მდგომარეობა, რაც შეიქმნა იტალიის არმიის რეგულარული ნაწილების ესპანეთში გაგზავნის შედეგად იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ერთა ლიგის წევრია. ეს ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლის თვალსაზრისით წარმოადგენს ერთა ლიგის ძირითად დებულებათა ყველაზე უფრო მძიმე დარღვევას, რაც დაშვებულ იქნა ევროპის კონტინენტზე ლიგის შექმნისა. (ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლი ამბობს: „ლიგის წევრები კისრულობენ ვალდებულებას პატივისცემით მოეპყრან და ყოველგვარი საგარეო თავდასხმის წინააღმდეგ დაიცვან ლიგის ყველა წევრის მთლიანობა და არსებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. თავდასხმის, თავდასხმის მუქარის ან საშიშროების შემთხვევაში საბჭო განსაზღვრავს ღონისძიებებს ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად“).

ამჟამად ესპანეთის მთავრობას შეუძლია მხოლოდ ელოდოს, თუ როგორ გამოეხმაურებიან ამნაირ მხილებებს ისინი, ვის ამოცანასაც შეადგენს ერთა ლიგის წესდების შესრულებისათვის თვალყურის დევნება.

ჯერჯერობით მე არ მსურდა რაიმე დამემატებინა იმისთვის, რაც უკვე ვთქვი ამ საკითხის შესახებ. რაც შეეხება ნოტას, გაგზავნილს ინგლისის მთავრობისადმი, რომელიც დღევანდლამდე წარმოადგენდა ჩაურევლობის კომიტეტის რუპორს, ნება მომეცეს იმედი გამოვთქვა, რომ ამ ნოტაში აღძრულ საკითხს სასწრაფოდ განიხილავენ შექმნილი მდგომარეობის განსაკუთრებული სერიოზულობის გამო. ვიმედოვნებ აგრეთვე, რომ ჩაურევლობის კომიტეტი ამა თუ იმ სახით გამოსთქვამს თავის აზრს ამ მოკლე ხანში, რათა ესპანეთის მთავრობამ იცოდეს, თუ რა პოზიცია დაიჭიროს“.

## რესპუბლიკურ ესპანეთთან სოლიდარობის დემონსტრაცია

**ბარსელონა**, 16 მარტი. (საქდესი). ფაბრის სააგენტოს ცნობით, კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის (რომლის რიგებში გაერთიანდნენ კომუნისტური და სოციალისტური პარტიები) არმიაში მობილიზებულმა 3 ათასმა აქტივისტმა დემონსტრაცია მოაწყო ბარსელონის მთავარ ქუჩებში. კატალონიის მთავრობის მრჩეველმა კომორერამ მიმართა მათ სიტყვით და მოუწოდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა რესპუბლიკური ესპანეთის წინაშე.

კატალონიის ინტელიგენციამ და სტუდენტებმა კატალონიის მეთაურის კომპანისის თავმჯდომარეობით გამართეს დიდი მიტინგი ნიშნად ინტელიგენციის სოლიდარობისა ხალხთან ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

## გააფთრებული ბრძოლები კორდოვის ფრონტზე

**ვალენსია**, 16 მარტი. (საქდესი). 14 მარტს გვადალახარის ფრონტზე ბრძოლებში მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ხუტო, ბრიუეგიდან 3 კილომეტრის მანძილზე. ტყვედ წაიყვანეს 100-ზე მეტი იტალიელი, ხელთ იგდეს 18 ტყვიამფრქვევი და 5 ჯავშნოსანსატანკო ქვემეხი, მწყობრიდან გამოყვანილია ერთი საველე ქვემეხი. მეამბოხეთა იერიში სიფუენტესის ახლოს მოგერიებულია. რესპუბლიკელთა ავიაცია მტერს მთელი დღე ყუმბარებს უშენდა. ჩამოგდებულია „ფიატის“ 2 თვითმფრინავი. ერთმა „ფოკერმა“ ავარია განიცადა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა.

მდინარე ხარამზე ბრძოლები კვლავ გრძელდება. ბრძოლაში გამოყვანილ გერმანიის ტანკებს გადაელობა მთავრობის ჯარების ძლიერი იერიში. რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოსულნი აცხადებენ, რომ ამ ფრონტზე მომქმედი მეამბოხეთა მთელი იარაღი გერმანული წარმოშობისაა.

კორდოვის ფრონტზე უკვე 4 დღეა, რაც გააფთრებული ბრძოლებია. მთავრობის ჯარები შეუპოვრად იცავენ თავის პოზიციებს. 14 მარტს ღამით მეამბოხეები ვილანუევა დელ დუკეში სამჯერ გადავიდნენ იერიშზე რესპუბლიკელების წინააღმდეგ, მაგრამ თვითეულ შემთხვევაში დიდი ზარალით უკან დაიხიეს. გასული კვირის განმავლობაში ამ ფრონტზე მეამბოხეებმა დაჰკარგეს 2 ათასი კაცი.

## ესპანეთის ფრონტებზე

**ლონდონი**, 16 მარტი. (საქდესი). რეიტერის ცნობით, გუშინ მადრიდის ფრონტებზე შედარებით სიწყნარე იყო.

გვადალახარის სექტორში რესპუბლიკელთა მზვერავმა თვითმფრინავებმა გაჰფანტეს მეამბოხეთა დაჯგუფებანი. ამ სექტორში რესპუბლიკელებმა იმდენად წაიწიეს წინ, რომ ტრიხუეკეს ახლა ვერ აღწევს მეამბოხეთა არტილერიის სროლა.

გუშინ მადრიდში გამოქვეყნდა კომუნიკე კიდევ 59 იტალიელის ტყვედ წაყვანისა და ესპანეთში იტალიის არმიის აქტივობის მამხილებელი ახალი დოკუმენტების ხელში ჩაგდების შესახებ.

კორდოვის ფრონტზე მეამბოხეებმა მოახდინეს ვილაფრანკას ევაკუაცია რესპუბლიკელთა არტილერიის მიერ ამ პუნქტისათვის ყუმბარების დაშენის შემდეგ.

**პარიზი**, 16 მარტი. (საქდესი). ჰავასი იუწყება, რომ გუშინ ხარამის ფრონტზე მეამბოხეები რამდენჯერმე იერიშზე გადმოვიდნენ მორატა დე ტახუნიისა და მორანიოსის სექტორში მოიგერიეს რა იერიშები, რესპუბლიკელები გადავიდნენ კონტრშეტევაზე და მეამბოხენი აიძულეს დაბრუნებულიყვნენ გამოსავალ პოზიციებზე.

ესპანეთის ავიაციისა და საზღვაო ფლოტის სამინისტროს ცნობაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკელთა ავიაციამ 15 მარტს ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა პოზიციებს მადრიდის ფრონტზე. მეამბოხეთა თვითმფრინავების ესკადრილია თავს დაესხა რესპუბლიკელთა თვითმფრინავებს. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი.

## სატოს თვითგამამართლებელი სიტყვა

[illegible], 13 მარტი (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 12 მარტს გაიმართა პრემიერ ჰაიასის, საგარეო საქმეთა მინისტრ სატოს, სამხედრო მინისტრ სუგიამას და საზღვაო მინისტრ იონაის თათბირი, რომელზეც განიხილეს სატოს სიტყვა, წარმოთქმული ქვედა პალატაში 11 მარტს. აშკარაა, ამ თათბირის შედეგად და გარკვეულ წრეების მოთხოვნების სრული შესაბამისობით, სატომ, უპასუხებდა რა 12 მარტს ზედა პალატის საბიუჯეტო კომისიაში პალატის წევრის ოკურას (კოსეიკაის დაჯგუფება) შეკითხვაზე, დაჰგმო თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც „არასაკმაო და როგორც სჩანს, ისეთი სიტყვა, რომელმაც საბაბი შექმნა გაუგებრობისათვის“.

სატო არწმუნებოდა, რომ მასა და პრემიერ ჰაიასის შორის არ არის აზრთა არავითარი სხვადასხვაობა იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში. ამასთან სატომ რამდენჯერმე გაუსვა ხაზი, რომ იგი არის იაპონიის შეიარაღების შემდგომი გადიდების მომხრე.

სატოს შემდეგ გამოვიდა ჰაიასი, რომელმაც დაადასტურა, რომ „როგორც სჩანს სატოს ამ სიტყვიდან, ჩვენ შორის აზრთა არავითარი სხვადასხვაობა არ არის“.

**ტოკიო**, 13 მარტი (საქდესი). იმ გარემოებათა რომლებმაც გამოიწვიეს სატოს თვითგამამართლებელი სიტყვა 12 მარტს, და აგრეთვე მის მიერ 11 მარტს წარმოთქმულ სიტყვას ვრცელ კომენტარიებს უძღვნის მთელი იაპონიის პრესა. გაზეთების უმეტესობა მეთაურებში თავდაჭერილად გვაგრძნობინებს თავის წუხილს იმის გამო, რომ პირველი შეტაკება „სატოს საგარეო პოლიტიკის მშვიდობიან კონცეფციასა“ და მის კრიტიკოსთა კონცეფციის შორის პირველის დამარცხებით დამთავრდა. გაზეთი „ნიცი-ნიცი“ გამოსთქვამს იმის რწმენას, რომ სატოს დეკლარაციას „იაპონიაში მთელი ხალხი დაუჭერს მხარს, ვინაიდან ეს დეკლარაცია უეჭველად შეეფერება იაპონელი ხალხის განწყობილებასა და სურვილებს“.

იაპონელ ხალხს, სწერს გაზეთი, მთელი სულითა და გულით სურს მშვიდობიანობა. უბრალოდ რომ ვთქვათ, იაპონელ ხალხს სურს მოაწესრიგოს ურთიერთობა ჩინეთსა და სსრ კ-თან და გაადვილოს მშვიდობიანი ეკონომიური წინსვლა კონტინენტისაკენ. ამასთანავე, განაგრძობს, „ნიცი-ნიცი“, აუცილებელია აგრეთვე აღვიაროთ, რომ სსრკ-სა და ჩინეთთან ჩვენი ურთიერთობის მოწესრიგების სიძნელეთა ორმოცდაათი პროცენტის პასუხისმგებლობა იაპონიას ეკისრება“.

გაზეთი „ციუგაი სიოიო“ აცხადებს, რომ სატოს 11 მარტის სიტყვა იყო გაბედული და მეტად გულახდილი. რა თქმა უნდა, განაგრძობს გაზეთი, სატოს სიტყვაში „იყო მრავალი სწორი ხაზი და სატო პატივისცემის ღირსია იმისათვის, რომ მან ილაპარაკა ისეთ საგნებზე, რომლებზედაც ჩვენ არაფერი გვესმის მთავრობის წრეებისაგან“. მაგრამ უნდა გვეფიქრებინა ის გარემოება, რომ „სატოს პირველი სიტყვები სავსებით ხელსაყრელი არ არის იაპონიისათვის და შეიძლება ჩინეთმა და სსრ კავშირმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ ისინი“.

გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ სატომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ფრიად ხელსაყრელ მომენტში, „როდესაც არსებობს აუცილებლობა იაპონიის საგარეო პოლიტიკის გადასინჯვისა, და როდესაც არმიისათვის თანდათან გასაგები ხდება ეს აუცილებლობა“. მაგრამ სწორედ ამიტომ სატოს მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა და უფრო ზუსტად გამოეთქვა თავისი აზრები.

## შოთა რუსთაველის გვერდი „იზვესტიაში“

(ტელეფონით „კომუნისტის“ მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

„[illegible]ია“ 17 მარტის ნომერში მთელ გვერდს უძღვნის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის შესრულების მომავალ იუბილეს.

გვერდი იხსნება აკადემიკოს ორბელის სტატიით „დიდი მემკვიდრეობა“. აკადემიკოსი ორბელი სწერს, რომ „შოთას ქმნილების აზრის სიღრმემ, საუცხოო ლექსწყობამ, სახეთა საერთო - საკაცობრიო სიმაღლემ, ფორმის მკაფიობამ და უბრალოებამ გახადა პოემა მთელი ხალხის კუთვნილებად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხალხის ენა თავისი განვითარებით შორს წავიდა XII საუკუნის ფორმებიდან. მით უფრო პასუხსაგებია შოთა რუსთაველის შემოქმედების მეცნიერული გამოკვლევისა და ამ შემოქმედებასთან საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელთა გაცნობის ამოცანა“.

გაზეთში მოთავსებულია პოეტ გიორგი ლეონიძის სტატია „გენიალური პოეტის ცხოვრება“. ავტორი სწერს: „რუსეთის თვითმპყრობელობის რკინის მარწუხებში ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობა არათუ ულმობელად ჩახშობილი და გათელილი იყო, არამედ „ბედნიერი საქართველოს სიმღერები“ სანახევროდ აკრძალულიც იყო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გადალახა რუსთაველის გენიალურმა პოემამ ნაციონალური საზღვრები და საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი კაცობრიობის კუთვნილება გახდა. ამიერიდან რუსთაველი ღირსეულად შედის და ჯეროვან ადგილს იჭერს მსოფლიო პოეზიის პანთეონში“.

„იზვესტია“ათავსებს აგრეთვე პროფესორ ჯავახიშვილის სტატიებს შოთა რუსთაველის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის შესახებ. მოთავსებულია აგრეთვე განსვენებულ აკადემიკოს მარის დღემდე გამოუქვეყნებელი სტატია, რომელიც მას 1920 წლის შემოდგომაზე დაუწერია. თავის სტატიაში მარი იძლევა „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორის გენიის გაფურჩქვნის პირობათა ბრწყინვალე ანალიზს.



**ამხ. დურსუნ ნიჟარაძე**

ქობულეთის რაიონის ამხ. ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორდენოსანი.

## პარიზის კომუნა

66 წლის წინათ პარიზი დილაადრიან გამოაღვიძა კომუნართა მქუხარე ყიჟინამ — „გაუმარჯოს კომუნას“.

პარიზის გმირულმა პროლეტარიატმა დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის წითელი დროშაააფრიალა. ეს იყო 1871 წლის 18 მარტს. კომუნარები 72 დღის განმავლობაში მკერდით იცავდნენ წითელ პარიზს, „ცაზე მიიტანეს იერიში“, მთელ მსოფლიოს აჩვენეს პროლეტარიატის დიქტატურის პირველი მაგალითი.

კომუნამ გააუქმა მუდმივი არმია, შეაიარაღა პარიზის პროლეტარები, განახორციელა ყველა თანამდებობის პირთა არჩევა, სკოლა ჩამოაშორა ეკლესიას და გაქცეული ფაბრიკანტების წარმოება კოოპერატიულ ამხანაგობებს გადასცა. სიხარულის ოკეანე დაგუბდა პარიზის მიდამოებში. საუკუნეობით ტანჯულმა პარიზელმა მშრომელებმა მხოლოდ რამდენიმე დღეს განიცადეს შვება და სიხარული. 72 დღის შემდეგ კომუნა დამარცხდა. ვერსალელი ჯალათებისა და პრუსიელი იუნკრების ტყვიებმა პარიზის კომუნართა ანთებული გულები განგმირეს. 70.000 მშრომელის სხეული მიიბარა პარიზის მიწამ.

საფრანგეთის და მსოფლიო ბურჟუაზიამ კომუნა ფიზიკურად დაამარცხა, დაამარცხა იმიტომ, რომ კომუნარებს არ ჰყავდათ მებრძოლი პროლეტარული პარტია და მთელი რიგი სერიოზული შეცდომები დაუშვეს. მაგრამ სისხლი უშედეგოდ არ დაღვრილა. პარიზის კომუნის 72 დღის გამოცდილებამ თვალი აუხილა ყველა ქვეყნის მშრომელს. კომუნის შეცდომები ნათლად გააშუქეს მარქსმა-ენგელსმა-ლენინმა. ეს შეცდომები გაკვეთილად გაიხადა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატმა. პარიზის კომუნის გაკვეთილები გამოიყენა რუსეთის მუშათა კლასმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მან დაანთო სოციალისტური რევოლუციის ცეცხლი, დაამხო ცარიზმი, მოსპო კაპიტალის ბატონობა.

პარიზის კომუნართა სისხლში შეღებილი დროშა ხელახლა აღიმართა, იგი ამაყად ფრიალებს საბჭოთა კავშირის უზარმაზარი შენობის გუმბათზე. ამ დროშის, მარქს-ენგელსლენინ-სტალინის დროშის ქვეშ დარაზმულმა პროლეტარიატმა, რომელიც საბჭოთა კავშირში უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს, საამური და ბედნიერი ცხოვრება შეჰქმნა.

ახალი, სტალინური კონსტიტუციით აღჭურვილი საბჭოთა კავშირის ხალხები ტექნიკის, კულტურისა და მეცნიერების ყველა დარგში ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობენ. სტახანოვური მოძრაობის ძლიერმა ტალღამ მოიცვა სოციალისტური აღმშენებლობის ყოველი უბანი. ჰყვავის და იფურჩქნება სოციალიზმის სამშობლო. იქ კი, კაპიტალისტურ ქვეყნებში, შიმშილი მძვინვარებს. ბურჟუაზია ხედავს, რომ მისი აღსასრულის დღე მოახლოვდა, უკანასკნელ ძალღონეს იკრეფს იმისათვის, რომ თუნდაც მცირე ხნით შეინარჩუნოს არსებობა, იერიშებს მიაქვს მუშათა კლასზე, კომუნისტურ პარტიაზე. თოფისწამლის სუნით კვლავ იჟღინთება ჰაერი. ფაშიზმი, მონოპოლისტური კაპიტალის შიშველი დიქტატურა, შეუბრალებლად აწამებს, ციხეში ერეკება და სიცოცხლეს ასალმებს მშრომელთა ათასეულებს.

ფაშისტური მსოფლიო ჰგრძნობს, რომ კომინტერნის დროშის ქვეშ დარაზმული პროლეტარები მიიტანენ კაპიტალზე იერიშს იმისათვის, რომ სამუდამოდ გაანადგურონ, მოსპონ კაპიტალიზმი, დაამყარონ მსოფლიო კომუნა. ფაშიზმიც ყოველგვარ ღონეს ხმარობს სისხლში ჩაახრჩოს რევოლუციური მოძრაობა, მაგრამ ამაოდ.

კაპიტალიზმი თავისი ნებით არ ჩაწვება სამარეში, ის უნდა დაამხოს პროლეტარიატმა, პროლეტარიატია მისი მესაფლავე. ამას მოწმობს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გმირული მაგალითი.

კაპიტალისტურ ქვეყნებს ცალცალკე საკუთარი ძალის იმედი არა აქვთ, ამიტომ ისინი სამხედრო კავშირებს ჰქმნიან.

იტალიის ფაშისტების მიერ აბისინიის დაპყრობა, ესპანეთის ამბებში გერმანიისა და იტალიის ფაშისტების ჩარევა, რაც მეამბოხეთა უშუალო დახმარებაში გამოიხატა, ნათლად ამჟღავნებენ ფაშისტების სისხლიან პოლიტიკას.

მუშათა კლასის იდეალი კომუნიზმია, არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს ისტორიის წინსვლა, მუშათა კლასის ძლიერება. თუ კაპიტალიზმის მსოფლიო გაბედავს საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, პირველ მოსახვევშივე მოიტეხს ის კისერს. ამის გარანტიაა საბჭოთა კავშირის სიმტკიცე და ძლიერება, ამის გარანტიაა ის, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ მსოფლიო ექსპლოატირებული მასები დიდი სიყვარულით არიან გამსჭვალულნი.

18 მარტი რემედასის საერთაშორისო დღეა. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ამ დღეს აღნიშნავს მშრომელი მასების ერთიანი ფრონტის განმტკიცების ლოზუნგით, რაზმავს თავის ძალებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობით პროლეტარიატი შესძლებს ფაშისტური ჯურღმულიდან დაიხსნას ამხანაგი ტელმანი და ათასობით სხვა მებრძოლი კომუნიზმისათვის, ახლა რომ ბორკილებს აჟღარუნებენ და ბნელ და ნესტიან საკანებში იტანჯებიან.

მსოფლიო მუშათა კლასი კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით ირაზმება, ვერავითარი ძალა მას ვერ დაამარცხებს, რადგან მას სათავეში უდგას პროლეტარული რევოლუციის გენიალური სტრატეგი — ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

კომუნა მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს!

## გარდაიცვალა ოსტინ ჩემბერლენი

**ლონდონი**, 14 მარტი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გულის სიდამბლით გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ინგლისის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ოსტინ ჩემბერლენი.



ბათუმის ახალი სასტუმრო „საქართველო“

ფოტო აჭარის სახელმწ. ფოტოგრაფიისა

# ამხ. ხრუშჩოვის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ



თა მუშაობისათვის საზოგადოებრივი კონტროლის გაუწევლობამ ტროცკისტ ჯაშუშებისა და დივერსანტების შეპავრა მეტად მნიშვნელოვან სამეურნეო ორგანიზმებში — საწარმოებსა, ტრესტებსა და დაწესებულებებში.

ამხ. ხრუშჩოვი ილაშქრებს იმ დამპალი, მავნე თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც გავრცელებულია სამეურნეო მუშაკების ერთ ნაწილში. ზოგიერთნი დირექტორნი და სახალხო კომისარნიც კი უმართებულოდ ფიქრობენ, რომ მათთან არც ყოფილა და არც არის მავნებლობა. ასეთი განწყობილებით, კერძოდ, დაავადებული არიან მსუბუქი

მოსკოვის ორგანიზაციაში. ეს ნაკლოვანებანია: პარტიული ორგანოების მოწყვეტა პარტიული მასებისაგან, პროპაგანდისტული მუშაობის შესუსტება, უყურადღებობა ბეჭდვითი სიტყვისადმი და ა. შ. იგი მოუწოდებს აქტივს დაუკვირდეს, შეიგრძნოს და შეისწავლოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, გააჩაღოს ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მასებს. იგი უამბობს აქტივს, თუ რა მნიშვნელობას მიაწერს ამხანაგი სტალინი მშრომელთა გამოცდილებას, ძირეული მუშაკების გამოცდილებას. ვაწარმოებთ რა მასე-

## თვითკრიტიკის გზით ვამხილოთ ნაკლოვანებანი

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის თებერვლის პლენუმის რეზოლუციის განხილვისას მჟღავნდება პარტიის წესდებისა და პარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევის მრავალი ფაქტი.

გურჯაანის რაიპარტორგანიზაციის მე-4 კონფერენციიდან მეხუთემდე რაიკომის ბიუროს წევრების უმეტესი ნაწილი კოოპტირებული იყო.

პარტიის წესდებისა და დემოკრატიული პრინციპების დარღვევის მრავალი ფაქტი გამომჟღავნდა სოფლად პირველადს პარტორგანიზაციებშიაც. თითქმის უმრავლეს შემთხვევაში ორგანიზატორს და კომიტეტის მდივანს ანგარიში არ ჩაუბარებიათ პარტიული კრებებისათვის.

...თვითონ გაგზავნა, მან კომიტეტის მდივნობა „გადააბარა“ კომიტეტის წევრს ამხ. ვ. ჭყონიას და ისე წავიდა ორგანიზაციიდან, რომ პარტიული კრებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთსულოვნად იწონებენ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის რეზოლიუციას, რომელიც წარმოადგენს პარტიული მუშაობის—გაშლილ პროგრამას. აგრეთვე იწონებენ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებას ანტიპარტიული საქმიანობისათვის მემარჯვენე გარეწართა—ბუხარინისა და რიკოვის პარტიიდან გარიცხვის შესახებ.

**ნ. ზავრაშვილი**

# საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ

## საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრების რეზოლუცია

### ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

ლობისგან, იწყო მოწყვეტა მასებისგან და დარღვევა პარტორგანოების არჩევნობისა, რასაც პარტიის წესდება ითვალისწინებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიულმა ხელმძღვანელებმა ვერ გამოიყენეს ყველა დასკვნა ცენტრალური კომიტეტის მიერ არაერთხელ მოცემული გაფრთხილებებიდან და მითითებებიდან იმის შესახებ, რომ საჭიროა რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება, რომ, რაც უფრო სერიოზულია ჩვენი წარმატებანი, მით უფრო გააფთრებული ხდება მტერი, მით უფრო მწვავე ხდება მისი წინააღმდეგობა.

ბევრმა პარტიულმა ხელმძღვანელმა დაივიწყა, რომ სსრ კავშირი იმყოფება კაპიტალისტურ გარემოცვაში, რომ ბურჟუაზია განუწყვეტლივ გზავნის და კვლავაც გამოგზავნის ჩვენთან თავის ჯაშუშებსა და დივერსანტებს; მათ მხედველობიდან გამოეპარათ, რომ ტროცკიზმი უკვე დიდი ხანია აღარ არის პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში, რომ ტროცკისტები განძს წარმოადგენენ კაპიტალისტურ ქვეყნებისთვის მათ მიერ ყოველგვარი ანტისაბჭოთა დივერსანტული და ჯაშუშური ბანდების ჩამოყალიბებაში.

მოსკოვის პარტიული აქტივის კრება გადაჭრით ჰგმობს შინაპარტიული დემოკრატიის საფუძვლების დარღვევას, რომლებსაც პარტიის წესდება გვავალებს. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის რაიკომთა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა უმრავლესობას 3 წელიწადზე მეტია არ ჩაუბარებია ანგარიში პარტიული მასებისათვის, რომლებმაც ისინი აირჩიეს, და მათ დაუშვეს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში კოოპტაციის სრულიად შეუწყნარებელი პრაქტიკა (კოოპტირებულია ოლქის რაიკომთა შემადგენლობის 17 პროცენტი). ეს მოწმობს იმას, რომ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელები შორდებიან კონტროლს, პარტიული მასების წინაშე პასუხისმგებლობას.

აქტივის კრებას სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია ისეთი მდგომარეობა, როდესაც მოსკოვისა და ოლქის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებები და რაიკომთა პლენუმები ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ასპარეზიდან გადაიქცნენ დაუსრულებელი პარადების, წარმატებათა შესახებ ხმაურიანი პატაკების, პარტიის ხელმძღვანელთა მიმართ სრულიად უსარგებლო მისალმებათა ასპარეზად.

აქტივის კრება აღნიშნავს, რომ რაიონული კომიტეტების პლენუმები ძალიან იშვიათად იკრიბებიან, ნაკლებად იხილავენ პარტიული მუშაობის კონკრეტულ საკითხებს, რაიკომთა ბიუროების და პირველადი პარტორგანიზაციების ანგარიშებს.

კრება აგრეთვე აღნიშნავს, რომ იშვიათად იკრიბებოდნენ საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების პლენუმები.

...ხელ-შემწყობ... ჯვენე თანამონაწილეთა მავნებლობის, დივერსიებისა და ჯაშუშობის გაკვეთილებიდან, რომლებმაც ცოტა ზიანი როდი მიაყენეს მრეწველობასა და ტრანსპორტს. ბოლშევიკებმა ბოლომდე უნდა შეითვისონ,—როგორც ამას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, — ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანა. ლოზუნგი „ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას“, ახლა უნდა შეივსოს ლოზუნგით ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ.

პარტიული ორგანოების არჩევნები კანდიდატთა ჩაწერული (ფარული) კენჭისყრის საფუძველზე უნდა ჩატარდეს ბოლშევიკური თვითკრიტიკის, თვითეული პარტიული ორგანიზაციის პარტიულ მუშაობაში არსებულ ყველა ნაკლთა ლიკვიდაციის, კომუნისტთა სიფხიზლის მობილიზაციის და მათი აქტივობის ნიშნით. არჩევნების ასეთი ჩატარება გააძლიერებს თვითეული ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას პარტიული მასების წინაშე, დაარტყამს შინაურობის, ჯგუფობრიობის ელემენტებს და ხელს შეუწყობს ნიჭიერ, საუკეთესო, პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ერთგულ ბოლშევიკთა დაწინაურებას.

აქტივის კრებას თვითეული ხელმძღვანელის, თვითეული პარტორგანიზაციის პარტიულ მოვალეობად მიაჩნია ღრმად შეისწავლონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, გაშალონ პატიოსანი, რევოლუციური თვითკრიტიკა, ბოლშევიკურად განახორციელონ პარტიული კადრების შერჩევა და სათანადო სიმაღლეზე დააყენონ მათი მარქსისტულ - ლენინური აღზრდა, თავისი მუშაობის სისტემად გახადონ შესრულების შემოწმება, მთელი შეუპოვრობით იბრძოლონ პარტიული მუშაობის დეფექტთა ლიკვიდაციისათვის, გარდაქმნან პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოთხოვნებთან სრული შეფარდებით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ გადამწყვეტი გამარჯვებანი მოიპოვა კომუნიზმისათვის ბრძოლაში და ააშენა სოციალისტური საზოგადოება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

O

აქტივის კრება იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პლენუმის გადაწყვეტილებას, საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვის შესახებ იმ ანტიპარტიული გამცემლური მუშაობისათვის, რომელიც მიმართულია მუშათა და გლეხთა სოციალისტურ მონაპოვართა მოსპობისა და კაპიტალიზმის აღდგენისაკენ.

# განუხრელად განვახორციელოთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი

ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქში ამჟამად მიმდინარეობს პარტიული აქტივის კრებები, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი. უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება ლენინგრადის პარტიული აქტივის კრება. მოსკოვში აქტივის კრება დამთავრდა გუშინ. მოსკოვის ბოლშევიკებმა თავის კრებაზე გაშალეს უკანასკნელ წლებში არნახული თვითკრიტიკა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა აამოძრავეს ყველა პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი. ბოლშევიკებმა იგრძნეს, თუ რა ისტორიული მობრუნება ხდება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მობრუნება, რომელსაც ისინი უნდა ჩაუდგნენ სათავეში. თითქოს გიგანტურმა პროჟექტორმა გააშუქა, თვალწინ წარმოგვიდგა ნაკლოვანებანი და შეცდომები პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში. ცხადი ხდება, რომ უდარდელობა—ბევრი პარტიული ხელმძღვანელისა და სამეურნეო მუშაკის ეს იდიოტური სენი—ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

„ბევრმა პარტიულმა ხელმძღვანელმა დაივიწყა, რომ სსრ კავშირი იმყოფება კაპიტალისტურ გარემოცვაში, რომ ბურჟუაზია განუწყვეტლივ გზავნის და კვლავაც გამოგზავნის ჩვენთან თავის ჯაშუშებსა და დივერსანტებს; მათ მხედველობიდან გამოეპარათ, რომ ტროცკიზმი უკვე დიდიხანია აღარ არის პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში, რომ ტროცკისტები წარმოადგენენ განძს კაპიტალისტური ქვეყნებისათვის მათ მიერ ყოველგვარი ანტისაბჭოთა დივერსანტული და ჯაშუშური ბანდების ჩამოყალიბებაში". (საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრების რეზოლუციიდან).

ადამიანები იწყებენ იმის შეგნებას, რომ უკვე მოპოვებულისა და მიღწეულის შექება, ხოტბა-დიდება, ბრტყელ-ბრტყელ, მაღალფარდოვან სიტყვებს, დითირამბების გალობას,—ყოველივე იმას, რითაც ბევრი სცოდავდა და რაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაჰგმო, არაფერი აქვს საერთო ბოლშევიზმთან. მხოლოდ მტერია დაინტერესებული იმით, რომ ჩვენ, ბოლშევიკები ვერ ვხედავდეთ რეალურ ვითარებას, ვერ ვამჩნევდეთ უტყუარ სინამდვილეს, ვიყოთ უდარდელი და უზრუნველი. მხოლოდ მტერი, რომელიც ლაქუცობს და მლიქვნელობს, ცდილობს თვითკმაყოფილების ვარდისფერი სათვალეები გაუკეთოს თვალებზე ჩვენს ადამიანებს, დააჩლუნგოს მათი ბოლშევიკური ალღო.

მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქტივისტებსაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ პარტიის რიგით წევრებზე, ყოველივე ეს გაგებული, შეგნებული ჰქონდეთ. ასეთი ოპტიმიზმისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა მოფიქრებით და გულმოდგინედ განმარტება თვითეული პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. არ უნდა დარჩეს საკ. კ. პ. (ბ) არცერთი წევრი, არცერთი კანდიდატი ან თანამგრძნობი, რომელსაც არ ეცოდინება პლენუმის გადაწყვეტილებანი და ის ამოცანები, რომელთაც ისინი მას აკისრებენ.

საბჭოთა დედაქალაქის პარტიულ აქტივშიც კი აღმოჩნდნენ პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები, სამეურნეო მუშაკები, რომელთაც ტრიბუნიდან ცხადჰყვეს იმ ახალი ეტაპის გაუგებლობა, პარტია და ქვეყანა რომ განიცდიან, არ გამოიყვანეს ბოლშევიკისათვის სავალდებულო ძირითადი დასკვნა,—თავისი საკუთარი მუშაობის თვითკრიტიკული გადაფასება. რა შეიძლება ითქვას, მაგალითად, ამხ. ვოლკოვის, პარტიული კონტროლის კომისიის მოსკოვის ოლქის პარტკოლეგიის მდივნის გამოსვლის შესახებ, რომელსაც არ ეყო გამბედაობა აღეარებინა, რომ ის ორგანიზაცია, რომელსაც იგი მეთაურობდა, პარტიაში აღადგენდა ხალხის მტრებსა და ადასტურებდა კარგი პარტიულების, სტახანოველების, კომუნიზმის საქმის ერთგული ადამიანების გარიცხვას პარტიიდან, ვითომდა პასივობისათვის? რატომ ხდებოდა ეს? პარტკოლეგია არ იჩენდა საკმაო გულისხმიერებას ცალკეული კომუნისტების სიგნალებისადმი, მუდამ როდი უწევდა ანგარიშს პირველადი პარტიული ორგანიზაციების აზრს. არ შესრულებულა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი მითითება გამოსწორებულიყო მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციაში დაშვებული შეცდომები პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის დროს პასივობისათვის და ყოველგვარი ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაულისათვის გარიცხულთა მიმართ.

მოსკოვის პარტიული აქტივის კრების დამახასიათებელი მხარეა მისწრაფება დაძლიონ მოკლეჭკუის პრაქტიციზმი, საქმოსნობა, ჩასწვდნენ იმ მრავალრიცხოვანი საკითხების პოლიტიკურ აზრს, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა. მოსკოვის აქტივის კრებაზე მწვავედ აკრიტიკებდნენ სამეურნეო მუშაკებს, როგორიცაა, მაგალითად, „მოსენერგოს“ მმართველი ამხ. მატლინი, საქმოსნობისათვის, კადრების შერჩევის, შემოწმებისა და პოლიტიკურად აღზრდის უუნარობისათვის. კრების მონაწილენი აქტიურად ეხმაურებოდნენ—ადგილებიდან კითხვების მიცემით, რეპლიკებით —№ 37 ქარხნის დირექტორის ამხ. გუტნოვის სიტყვას. ამ ამხანაგის გამოსვლამ სრული სიცხადით გვიჩვენა, რომ მან არა მარტო არ გამოიყვანა თავისთვის საჭირო დასკვნები პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, არამედ ვერც გაიგო ისინი.

აქტივი ისეთი გულისხმიერებით გამოეხმაურა ორატორების გამოსვლებს, რომ ზოგიერთს, როგორც ეს დღეს დაბეჭდილი ანგარიშიდან სჩანს, ხეირი არ დაეყარა.

სამეურნეო მუშაკებმა, ისე როგორც პარტიულმა ორგანიზაციებმა, უნდა გამოიყენონ ყველა დასკვნა გერმანია-იაპონიის იმ ტროცკისტ აგენტთა და მათ მემარჯვენე ხელშემწყობთა მავნებლობის, დივერსიებისა და შპიონაჟის გაკვეთილებიდან, რომელთაც ცოტა ზიანი როდი მიაყენეს მრეწველობასა და ტრანსპორტს. როგორ უნდა ჩამოყალიბდეს სამეურნეო მუშაკის ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოებრიობასთან, როგორ უნდა იქნას გამოყენებული უკეთ, ისე რომ ერთმმართველობა არ დაირღვეს, მუშათა და სპეციალისტთა უმდიდრესი გამოცდილება, როგორ უნდა მოეღოს ბოლო რაც შეიძლება მალე თავის ჩამოშორებას პარტიულ-პოლიტიკური ცხოვრებისაგან—აი რაზე უნდა იმუშაოს ამჟამად თვითეულმა საბჭოთა სამეურნეო მუშაკმა.

სამართლიანად აკრიტიკებენ რა სამეურნეო მუშაკს საქმოსნობისათვის ამავე დროს, ბევრ პარტიულ მუშაკს არ ესმის, რომ ვერც ისინი ასცდნენ ამ სენს. ხომ ფაქტია, რომ პარტიულ ხელმძღვანელთა ნაწილმა, სამეურნეო წარმატებებით გატაცებულმა, თანდათანობით იწყო დაშორება პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობისგან, იწყო დაკარგვა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისა და მასების პოლიტიკური აღზრდის ხალისისა. იწყო შეკვეცა თვითკრიტიკისა და დაშორება პირდაპირი პასუხისმგებლობისგან პარტიული მასების წინაშე.

მტკიცე, მამაცი და ნიჭიერი ბოლშევიკები, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილები, ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში იზრდებიან. ისინი მდიდარი არიან დიდი პრაქტიკული გამოცდილებით მასების დარაზმვასა და ხელმძღვანელობაში. თუ ეს ადამიანები დაეუფლებიან ბოლშევიზმს, —ხოლო ისინი უნდა დაეუფლონ მას, ოღონდ საჭიროა დავეხმაროთ მათ ამაში,—ყოველი მტერი, რაგინდ გაიძვერა და საზიზღარი უნდა იყოს იგი, რა ნიღაბიც უნდა გაიკეთოს თავის საძაგელ სახეზე მხილებული და გასრესილი იქნება. ჩვენი კადრების ბოლშევიკური აღზრდა გასაღებია პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე მდგარი ყველა ამოცანის, ცხრა მეათედის გადასაჭრელად.

აქტივის კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმის დაყენება, პოლიტიკური აგიტაციის მდგომარეობა, ჩვენი გაზეთების შინაარსი და მუშაობა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს კრიტიკა გამომდინარეობდა აქტივისაგან, რომელიც არ იცნობს ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის ყველა მანკს, შეიძლება უკვე ამჟამად გავითვალისწინოთ, რა სასტიკად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკებენ პარტიული მუშაობის ამ უბანს რაიონულ კრებებზე და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

მკაცრი, შეუბრალებელი თვითკრიტიკა, განურჩევლად პიროვნებებისა და ამ პიროვნებათა განცდებისა,—აი ის, ურომლისოთ ჩვენ არ შეგვიძლიან წინსვლა. კომუნისტური პარტიის მილიონობით წევრები და კანდიდატები, ათეული მილიონობით პატიოსანი, ჩვენი დროშის ერთგული და ჩვენი საქმისათვის თავდადებული არაპარტიული ბოლშევიკები თავისი კრიტიკით და თავისი შემოქმედებითი მუშაობით ხელს შეუწყობენ იმ მობრუნების წარმატებას, რომელსაც ამჟამად საბჭოთა ქვეყანა განიცდის.

მაგრამ, უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, „რომ რაკი თვითკრიტიკაა, ამიტომ აღარაა საჭირო **ხელმძღვანელობა**, შეიძლება მოვშორდეთ საჭეს და ყველაფერი მივანდოთ „მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას“. ეს თვითკრიტიკა კი არ არის, არამედ სამარცხვინო ამბავია. თვითკრიტიკა საჭიროა არა ხელმძღვანელობის შესასუსტებლად, არამედ მის **გასაძლიერებლად**, იმისათვის, რომ იგი ქაღალდისა და ნაკლებადავტორიტეტული ხელმძღვანელობიდან გადავაქციოთ **ცხოველმყოფელ** და ნამდვილად **ავტორიტეტულ** ხელმძღვანელობად“ (სტალინი).

ბოლშევიკური თვითკრიტიკა ხელს შეუწყობს მტრების გამოვლინებასა და მხილებას, ასწევს იმ პარტიული და საბჭოთა კადრების ავტორიტეტს, რომლებიც პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ერთგულნი არიან.

მოსკოვის პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მათ რიცხვში გადაწყვეტილება საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვის შესახებ.

ამჟამად, განვაგრძობთ რა, ახალი ამოცანების ფართო განმარტებას, მთელი ენერგიითა და ნებისყოფით უნდა შევუდგეთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებას. თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა კომუნისტმა ბოლშევიკური საქმეებით უნდა დაამტკიცოს თავისი ერთგულება ჩვენი პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტისადმი.

„პრავდის" მოწინავე, 17 III

# ამჟღავნებენ დარღვევებს

**თელავი**, 15 მარტი (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის რეზოლუცია ამხ. ჟდანოვის მოხსენების გამო განიხილეს თელავის აბრეშუმსაქსოვი ქარხნის პარტორგანიზაციაში. აქ გაიშალა პარტკომის მუშაობის ბოლშევიკური კრიტიკა.

ფაბრიკის მუშა ამხ. ნინო არტემოვამ სთქვა:

— პლენუმის რეზოლუციამ ამხ. ჟდანოვის მოხსენების გამო გამოამჟღავნა წესდების დარღვევანი, რასაც ადგილი ჰქონდა მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში. ასეთი დარღვევანი იყო ჩვენს პარტორგანიზაციაში. არჩევნებზე კითხულობდნენ სიას და მას საერთო კენჭს უყრიდნენ ხოლმე. ჩვენ საშუალება არ გვქონდა ჩვენი აზრი გამოგვეთქვა და უბრალოდ ვამტკიცებდით ამ სიას.

გამოსული კომუნისტები აგრეთვე აღნიშნავდნენ, რომ პარტკომის მდივნები წასვლის დროსაც კი ანგარიშს არ გვაბარებდნენ თავიანთ მუშაობაში, ასე რომ, პარტიულმა მასამ არ იცოდა ერთი მდივნის წასვლისა და მეორე მდივნის „დანიშვნის“ მიზეზი.

საარჩევნო კრებებმა ცუდად ჩაიარა ამ წლის თებერვალში. ნაცვლად იმისა, რომ საერთო პარტიული კრება ჩაეტარებინა (პარტორგანიზაციაში ირიცხება პარტიის 40-მდე წევრი და კანდიდატი), რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ვ. ბაბუევი დაკმაყოფილდა პარტკომის ანგარიშის განხილვით საამქროთა კრებებზე. პარტკომის მდივანმა ამხ. მ. ზვიადაძემ საანგარიშო მოხსენებანი გააკეთა ჯგუფებში, რომლებიც ამისათვის სრულიადაც მომზადებული არ იყვნენ.

კრებამ გადასწყვიტა, რათა ყველა კომუნისტი და უპარტიო გაეცნოს პლენუმის გადაწყვეტილებებსა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ◆ აჭარა ლალი, თავისუფალი, სოციალისტური ◆



ამხ. ზ. ლორთქიფანიძე
აჭარის ცაკის თავმჯდომარე

## რევოლუციით შობილნი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენი სოფელი—ზედა ყოროლისთავი ალების სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა. გლეხკაცობას საკუთარი არაფერი გააჩნდა. გლეხები ან ნახშირს წვავდნენ და ამით ირჩენდნენ ვაივაგლახით თავს, ანდა ყახაბერში მიდიოდნენ და ბიბინაიშვილებისა, ფალავებისა და სხვა მემამულეთაგან მამასისხლად აღებულ მიწებს ამუშავებდნენ. სიმწრით მოყვანილი ჭირნახულის მესამედი ალას მიჰქონდა.

ოქტომბრის რევოლუციამ საზღვარი დაუდო გლეხკაცობის გაჭირვებას, ბეგები და აღები ალგავა პირისაგან მიწისა. სტალინურმა მზემ ყოროლისთავშიც შეანათა და წარსულში დაბეჩავებული, ლატაკი გლეხკაცობა შეძლებულობის ფართო გზაზე გამოიყვანა.

ჩვენ ჩვენს დაბადებას 1921 წლიდან ვითვლით, როცა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. აბა, რა უნდა აკავშირებდეს მუხამედ ბრუნჯაძეს წარსულთან, როცა მას არც სახლი გააჩნდა და არც კარმიდამო. 1929 წელს მუხამედი შევიდა კოლმეურნეობაში და შრომადღეებზე მიღებული თანხით აიშენა ოთხოთვალიანი, კრამიტით დახურული სახლი, შეიძინა რკინის საწოლები, პატეფონი, და ყოფილი ბოგანო ახლა შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს.

მუხამედისთანა რამდენია ჩვენს სოფელში! ხუსეინ როდინაძე, ახმედ როდინაძე, სადიყ ემინ ახმედ ოღლი, —ყველა მათ ახალ-ახალი ოთხთვალიანი სახლები წამოსჭიმეს. სახლებს იშენებენ აგრეთვე ოსმან ფალავა და მუსა გურგენიძე.

მამაკაცებს არ ჩამორჩებიან ქალებიც, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. აიშე გურგენიძე, ჩაის ცნობილი მკრეფავი, ორდენოსანი, ჩვენი კოლმეურნეობის გამოზრდილია. აიშე ახლა ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლობს.

აიშეს საქმის განმგრძობი არიან 17-18 წლის გოგონები ლუთბი ფალავა, ფადიმე ფალავა, ჰურიე ბრუნჯაძე, რომლებიც 12 კილო ჩაის ნაცვლად 30—40 კილოს ჰკრეფენ. ლუთბი და ჰურიე ამჟამად ბათუმში სწავლობენ საკოლმეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და სამი თვის შემდეგ ისევ ჩვენ დაგვიბრუნდებიან.

რა გასაკვირია, თუ ასეთი ენერგიული მუშაკების მეოხებით ჩვენი კოლმეურნეობა ხარობს და იფურჩქნება. კოლექტივში გაერთიანებულია 72 მეურნეობა. წარსულში ღარიბ-ლატაკთ, ეფენდოლლების, ფალავების და სხვათა ყმებს, ახლა მუდმივ სარგებლობაში გადმოგვეცა უფასოდ 469,3 ჰექტარი მიწა, რომელზედაც გაშენებული გვაქვს ჩაი, ლიმონი, მანდარინი, ტუნგო, ბამბუკი, ხეხილი და სხვ.

**ხუსეინ ოსმან-ოღლი.**

ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

◇ ◇ ◇

## აწჰესი

ბათუმის ელექტროენერგიით მომარაგებისათვის მდ. აჭარის წყალზე ჰიდროელექტროსადგურის აგების იდეა პირველად წამოყენებულ იქნა 1922 წელს. ამ მდინარის გამოყენების სქემა ცენტრში წარდგენილ იქნა 1923 წელს. დაიწყო საესკიზო პროექტის შედგენა.

საბოლოო პროექტი ითვალისწინებს სადგურის სიმძლავრის აყვანას 23.250 ცხენის ძალამდე და მის შეერთებას ზაჰესის და რიონჰესის ჯგუფთან.

ასობით და ათასობით ჩაებნენ აჭარელი მშრომელი გლეხები აწჰესის მშენებლობაში, სადაც ისინი იძენენ ტექნიკურ კვალიფიკაციას.

ამრიგად საქართველოს მომქმედ ჰიდრო-ელექტრო სადგურების ქსელს შეემატა კიდევ ერთი მძლავრი დანადგარი აჭარისწყალის ჰიდრო ელექტრო სადგური 23.000 ცხენის ძალის სიმძლავრისა.

ელსადგურის მშენებლობა სავსებით დამთავრებულია. უკვე მოხდა სადგურის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამოცდა, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო, სადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემას აბრკოლებს გადამცემი ხაზის მოუმზადებლობა. ეს საქმე მოგვარდება უახლოეს ორსამ თვეში და ზაფხულიდან აწჰესი მომქმედ სადგურთა რიგში ჩადგება.

აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება არა თუ დიდად შეუწყობს ხელს აჭარის და საქართველოს სოციალისტურ მრეწველობას იგი უდიდეს როლს ითამაშებს აჭარის კულტურული განვითარების საქმეშიაც.

## ახალი ბათუმი

**მუსტაფა ჩახვაძე**
ბათუმის საბჭოს თავმჯდომარე

პირველი ცნობები ბათუმის შესახებ 1807 წელს ეკუთვნის. ამ წელს ბათუმში ყოფილა მოგზაური ანდრიან დიუპრე. რომლის სიტყვით ბათუმი უფრო დიდ სოფელს ჰგავდა, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილს. მცხოვრებლები მაშინ 2.000 ყოფილა. მათი ბინები გაფანტული იყო ბუჩქის ნაპირებზე, ტყეებში. ვაჭრობას ამ დროს სრულიად უმნიშვნელო ხასიათი ჰქონდა.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმი დაიპყრო რუსეთის თვითმპყრობელობამ. ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები იმ დროს აუწერლად ცუდი ყოფილა. ქალაქის დასახლებულ ადგილებს მჭიდროდ ეკვროდნენ ჭაობები და სასაფლაოები, სადაც რუსეთ-თურქეთის ომის დროს ტიფისაგან დახოცილთა 20.000-მდე გვამი იყო დაკრძალული. ქალაქის წყალსადენით სარგებლობა საშიში იყო, რადგან თიხის მილები ბევრგან ჭაობიან ადგილებში იყო გაყვანილი, წყლის დიდი წნევისაგან მილები დასკდა და წყაროს წყლებთან ერთად მათში ჭაობის წყალი შეიჭრა.

მეფის მთავრობა თავს არ იწუხებდა ბათუმის კეთილმოწყობაზე ზრუნვით. მისი მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ბათუმის ციხე-სიმაგრედ გადაქცევისაკენ. პირველი სკოლა ბათუმში 1881 წელს დაარსდა. რუსეთის თვითმპყრობელობა სწავლა-განათლების მოტრფიალე წომ არ ყოფილა! სკოლების ქსელი ძალიან ნელა იზრდებოდა. 1904 წელს ქალაქის სკოლების შენახვისათვის სულ 14.792 მანეთი იყო გაღებული. ყველაზე თვალსაჩინო, რისი გაბედვაც კი შესძლო ბათუმის მაშინდელმა თვითმმართველობამ, ეს იყო „კონკის“ გაყვანის გადაწყვეტილება. ამ საქმეზე ქალაქს უნდა დაეხარჯა 91.000 მანეთი, მაგრამ გადაწყვეტილება გადაწყვეტილებად დარჩა და ბათუმს არ ღირსებია არც ელექტრონის ტრამვაი, არც კონკაც კი.

მენშევიკებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მათ არა თუ არაფერი გაუკეთებიათ, არამედ ისიც კი ვერ შეინარჩუნეს, რაც მემკვიდრეობით მიიღეს.

ბათუმის ნამდვილი აღორძინება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ჩამორჩენილი საქალაქო მეურნეობა დიდ შრომასა და თანხებს მოითხოვდა. საქართველოს მთავრობის დახმარებისა და ყურადღების, აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და ქალაქის მშრომელთა ენერგიული მუშაობის მეოხებით ბათუმი რადიკალურად გარდაიქმნა, გაიზარდა, გალამაზდა და საბჭოთა კავშირის საუკეთესო ქალაქთა რიგში ჩადგა.

წლითიწლობით იზრდებოდა დაბანდებანი ბათუმის მეურნეობაში. განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა ქალაქის კეთილმოწყობის დარგში. მარტო მწვანე ნარგავთა გაშენებაში 16 წლის განმავლობაში დაბანდებულია 1.300 ათას მანეთზე მეტი. მწვანე ნარგავები ქუჩებზე 1921 წლის 7,7 ათასი მეტრიდან 23 ათას მეტრამდე გაიზარდა.

დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის მხატვრულად გაფორმებას. აგებულია ორი დიდი კოლონადა — ერთი ბულვარში, მეორე — ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკის შესავალთან, აგრეთვე არქიტექტურულად გაფორმებულია ზღვის სანაპირო ბულვარის შესავალი კარები. გაყვანილია ახალი ქუჩა, რომელიც რევოლუციის მოედანს აკავშირებს შმიდტის სანაპირო ქუჩასთან. ბულვარის ფართობი 5,8 ჰექტარიდან გაფართოვებულია 11,7 ჰექტარამდე, ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკი 5,4 ჰექტარიდან 17 ჰექტარამდე. ქალაქს, რომელსაც 1931 წლამდე არ ჰქონია არცერთი სკვერი, ამჟამად 15 სკვერი აქვს.

ბათუმის საბჭოს ერთერთ მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს ქალაქის წყლით მომარაგების საქმის მოწესრიგება. ძველი წყალსადენი, რომელიც გაყვანილია 1908 წელს, ნავარაუდევი იყო 30.000 მცხოვრებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წყალსადენით სარგებლობდა მხოლოდ მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი და ისიც ქალაქის შუაგულში, განაპირა უბნები კი, მეტწილად მუშებით დასახლებული, მოკლებული იყო წყალსადენის წყალს და ჭებით სარგებლობდა.

1921 წელს წამოიჭრა წყალსადენის გაფართოვების საკითხი; ამ მიზნით მოეწყო წყალსადენი მდ. ყოროლის-წყალზე და წყლის დებეტი სამას ლიტრამდე გაიზარდა წამში. გაგრძელებულ იქნა განმანაწილებელი ქსელი: თუ 1921 წელს ის 26,6 კილომეტრს შეადგენდა, 1936 წელს 42,8 კილომეტრს მიაღწია. წყლის მიწოდება 1921 წლის 468 ათასი კუბ. მეტრიდან 2.431.300 კუბ. მეტრამდე გაიზარდა.

შენდება ახალი კანალიზაცია, რომლის პირველი რიგის ღირებულება 8.534 ათას მანეთს უდრის; მიმდინარე წლის დასაწყისისათვის დახარჯულია 6.796.500 მანეთი, ამასთანავე ქალაქის მთელი ცენტრალური ნაწილი უკვე ახალი კანალიზაციით სარგებლობს. 1936 წლის განმავლობაში კანალიზაციას შეუერთდა 300 სახლი, წელს შეუერთდება კიდევ 600.

აგებულია და მუშაობს ახალი აბანო. საბინაო მშენებლობა ბათუმში 1927 წლიდან დაიწყო. ამ წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1936 წლამდე საბინაო მშენებლობაში დაბანდებულია 11 მილიონი მანეთი. საბინაო ფონდის რემონტზე 16 წლის განმავლობაში დახარჯულია ორ მილიონზე მეტი.

დამთავრდა მშენებლობა და ახლო ხანში ამუშავდება ახალი სასტუმრო „საქართველო“ 65 კარგად მოწყობილი ოთახით, ცენტრალური გათბობით, ცხელი წყლით, ტელეფონებით და სხვ. შენდება და წლის ბოლოს ამუშავდება მეორე დიდი სასტუმრო 164 ოთახით.

ქალაქის კეთილმოწყობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბათუმის საბჭოს მუშაობაში. 16 წლის განმავლობაში დახარჯულია 9 მილიონზე მეტი. დიდი ყურადღება ექცევა გზის სამუშაოებს. აღნიშნულ პერიოდში მოკირწყლულია 98,7 ათასი კვ. მეტრი ქუჩები. ამჟამად ბათუმის ყველა მთავარი ქუჩა მოასფალტებულია. მარტო გზის სამუშაოებზე დახარჯულია 3.312.500 მანეთი.

სახალხო განათლების დარგში გაფართოვებულია 2 სკოლა, აგებულია ორი ახალი სასკოლო შენობა და სპეციალური სახლი საბავშვო ბაღისათვის. ჯანმრთელობის დაცვის ხაზით აშენებულია ახალი გინეკოლოგიური საავადმყოფო და აგებულია ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული კორპუსი. 1936 წელს აშენდა სპეციალური სახლი. საბავშვო ბაგისათვის.

ყოველწლიურად იზრდება ქალაქის ბიუჯეტი. თუ 1925-26 წელს ბათუმის საბჭოს მთელი ბიუჯეტი 1.067.000 მანეთს უდრიდა, 1936 წელს მან უკვე 13 მილიონ მანეთს მიაღწია.

გაუგონრად იზრდება სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტი. 1925-26 წელს სახალხო განათლებაზე დაიხარჯა 326.547 მანეთი, 1936 წელს კი — 5.042.000 მანეთი. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები 51.000 მანეთიდან 1925-26 წელს 3.096.000 მანეთამდე გაიზარდა.

1937 წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქის გარეუბნების კეთილმოწყობას.

გარეუბნების ყველა ქუჩა, რომლებზედაც ახლა გავლა თითქმის შეუძლებელია, მიმდინარე წელს მთლიანად უნდა იქნეს მოყვანილი წესრიგში.

საბჭოთა ხელისუფლების 16 წლის მუშაობამ ბათუმს სახე შეუცვალა. აღარ არის ვაჭრებისა და საერთაშორისო სპეკულანტების ბათუმი, არის ბათუმი კულტურული, კეთილმოწყობილი, პალმებით და ყვავილნარებით შემკობილი. ბათუმი საბჭოთა კავშირის ერთერთ ულამაზეს ქალაქად გადაიქცა. ის კიდევ უფრო გამშვენიერდება, გაიზრდება, მშრომელთა დასვენების საყვარელ ადგილად შეიქმნება. ამის თავდებია აჭარის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების თავდადებული მუშაობა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა და საყვარელი ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას მუდმივი ყურადღება და დახმარება.



ამხ. ფადიკო გოგიტიძე
პირველი აჭარელი მფრინავი ქალი



ამხ. არტ. გეურქოვი
საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი

**შალვა იოსელიანი**

## სიმღერა ბათუმზე

1.

კობამ დაანთო შენი ლამპარი
მოქარიშხალდა ალმართულ დროშით,
და გაუგონარ ბრძოლის ხანძარი
აავიზგიზა შენს მიდამოში.
საბედისწეროდ ექცეთა მყობადს
და მწუხარების კაოი დახურა.
ყოველ დაზგასთან დასახლდა კობა,
ყოველ მშრომელთან დაისადგურა.
სადაც არ იყო — გაჩნდა უეცრივ,
იგი ფუხარას ქოხში მივიდა,
ბათუმის ბოლმას პირველი ცეცხლი
კობამ შეუნთო, შემოუკიდა,
შემოუკიდა, კალთები წყნარი
შეამკუხარა თაგოს მთებისა,
კობამ შელეწა პირველი კარი
საუკუნეთა მდუმარებისა.

2.

დღეს აჭარელი წარსულს იგონებს,
დასამარებულ ცხოვრებას წყევლის,
და ხიხაძირშიც ბრმა შეჭიბონე
შენზე ქებას და დიდებას მღერის.
დამძიმებული სავსე ხეები,
ცადაზიდული მაღალი მთანი,
ზღვები, ყიშლები, მდინარეები
შენზე მღერიან, ძვირფასო სტალინ!
მზის ამოსვლამდე შავთვალა მოდის
დგას ნარინჯოვან ტოტების ტყეში
რომ დაყურსული ფორთოხლის ტოტი
ჩამოგიტანოს მწიფობის თვეში.
ერთ ძმურ ოჯახში ვართ შეკრებილი,
რაინდის მკლავმა არ იცის დაღლა,
ჩვენი ქალებიც შევარდნებივით
დანავარდობენ ღრუბლებზე მაღლა,
ჩვენი ბიჭებიც დგანან თამამად
შენი და ქვეყნის მტერი რომ დასცენ,
რადგან შენმა მზემ დედისთანამა
მოგვცა გმირობა და სივაჟკაცე.

◇ ◇ ◇

## აჭარის თეატრი

დღეს, 18 მარტს, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 16 წლისთავზე ბათომში იხსნება აჭარის სახელმწიფო თეატრი. დასი ძირითადად შესდგება აჭარელი ახალგაზრდებისაგან, რომლებმაც დაამთავრეს რუსთაველის თეატრის სტუდია. 25 მსახიობიდან 18 აჭარელია.

სეზონი იხსნება გ. მდივნის პიესით „ბრმა“ დადგმა რეჟისორ დიმიტრი ალექსიძისა, მხატვარი დ. თავაძე, მუსიკა კომპ. ი. გოკიელისა. რეპერტუარში შეტანილია კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, ს. მთვარაძის ორიგინალური პიესა აჭარის ცხოვრებიდან „თევრუდ“, გ. მდივნის „ალკაზარი“, ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“ და ს. შანშიაშვილის „არსენა“.

თეატრისათვის შენდება ახალი დიდი შენობა, რომელიც თავისი არქიტექტურული გაფორმებით ერთერთი ულამაზესი იქნება არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. თეატრის პროექტის ავტორია აკადემიკოსი ა. შჩუსევი. თეატრს ექნება 900 ადგილი.

ახალი თეატრის მშენებლობა უნდა დამთავრდეს ორი წლის განმავლობაში. მისი აგება დაჯდება ექვს მილიონ მანეთად.

**ზ. ლორთქიფანიძე** — აჭარის ცაკის თავმჯდომარე

## საბჭოთა აჭარის XVI წელი

საქართველოს ხალხთა ბედნიერი ოჯახის ერთერთი წევრი — აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დღეს ჯამს უკეთებს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ გამარჯვებებსა და მიღწევებს.

ქართველი ხალხის დახმარებითა და მხარის დაჭერით აჭარის მშრომელებმა შეჰქმნეს ნათელი, სამური და ბედნიერი ცხოვრება და კიდევ უფრო ბედნიერ მომავალს შეჰქმნიან; აქეთკენ მივყევართ მთელი კაცობრიობის უდიდეს ადამიანს, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

თავისუფლების მოყვარულ აჭარელ ხალხს საუკუნეების მანძილზე მრავალი განსაცდელი გამოუვლია. აჭარის მშრომელთა სისხლს სვამდნენ მეფის ჯალათები და კაპიტალიზმის საზიზღარი ლაქიები — მენშევიკები. მენშევიკების ბატონობის პერიოდი ყველაზე შავბნელი ფურცელია აჭარის მშრომელთა ისტორიაში.

აჭარაში საუკეთესო ადგილები ზღვის პირას მეფის გენერლებსა და მოხელეებს ეკუთვნოდათ. მათ აჰყარეს მკვიდრი მშრომელი გლეხობა და ამ ადგილებზე აგარაკები ხიშენეს. არსებობდა სპეციალური დადგენილება, რომელიც აჭარელს გავლასაც კი უკრძალავდა ამ ადგილებზე. დადგენილების დარღვევისათვის მას 25 მანეთს ჯარიმას ახდევინებდნენ.

დღეს ეს მიდამოები დაფარულია მილიონერი კოლმეურნეობებით, საუკეთესოდ მოწყობილი საბჭოთა მეურნეობებით და დასასვენებელი სახლებით.

აჭარის მშრომელებმა საქართველოს მშრომელ ხალხთან ერთად მიმდინარე წლის 13 იანვარს იდღესასწაულეს ისტორიული თარიღი — ბათუმში რ. ს.-დ. მ. პ. ლენინური ისკრული მიმართულების პირველი კომიტეტის დაარსების 35 წლისთავი. ამ ისტორიული დღიდან, 1902 წლის 13 იანვრიდან, მოყოლებული აჭარაში არ შეწყვეტილა ბრძოლა მეფის სატრაპებისა და მენშევიკების წინააღმდეგ და ის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა. საბჭოების გამარჯვების დღიდან დაიწყო აჭარის ხალხის ახალი ისტორია.

აჭარის მშრომელთა მიერ მოპოვებული მიღწევები განუყრელად დაკავშირებულია დიდი საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის საერთო წარმატებებთან. ამ მიღწევებმა სრულიად შესცვალეს აჭარის სახე. აღარ არის ძველი აჭარა — მეფის ყოფილი კოლონია, რომელიც სილატაკესა და უმეცრებაში ლაფავდა სულს.

იზრდება აჭარის მრეწველობა. პირველი და მეორე ხუთწლედის წლებში აჭარაში აღმოცენდნენ ისეთი მსხვილი საწარმოები, აგებულნი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, როგორიც არის ბათუმის ნავთისგადამმუშავებელი ქარხნები, ზეთისსაწმენდი ქარხანა, პირველი საბჭოთა კავშირში — ჩაის მოწყობილობის ქარხანა, მთელი რიგი ჩაის ფაბრიკები, ასფალტ-ბეტონის ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა, ერთადერთი საბჭოთა კავშირში — კოფეინის ქარხანა, რომელიც კოფეინს ამზადებს ჩაის ნარჩენებისაგან, აშენდა აჭარისწყლის ჰიდროელსადგური და სხვ. საგრძნობლად განმტკიცდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობა. გასული წლის განმავლობაში აჭარის მრეწველობამ მოგვცა 181.848.000 მანეთის პროდუქცია, წინააღმდეგ 86.864.000 მანეთისა 1931 წელს. აჭარის სოციალისტურ მრეწველობაში ამჟამად ჩაბმულია 12.783 მუშა. საქონლის ბრუნვა აჭარაში 1936 წელს შეადგენდა 174.847.000 მანეთს.

ამჟამად აჭარაში არის 22 საბჭოთა მეურნეობა, რომელთაც უჭირავთ 7.200 ჰექტარი.

დაქუცმაცებულ, ლატაკ მეურნეობათა ნაცვლად იზრდება კოლმეურნეობანი, რომელთა რიცხვი აჭარაში 254 აღწევს. ისინი აერთიანებენ 10.656 მეურნეობას.

ყოველწლიურად იზრდება ძვირფასი კულტურების ფართობი. ამჟამად აჭარაში გვაქვს 5.026 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და 2.250 ჰექტარი ციტრუსების პლანტაციები. ჩაითა და ციტრუსებით დაკავებული ფართობის მიხედვით აჭარას ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს მთელ საბჭოთა კავშირში. შარშან აჭარის მშრომელებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 5.185 ტონა ჩაის ფოთოლი და 130 მილიონი ციტრუსების ნაყოფი. ციტრუსოვან კულტურათა განვითარების ხუთწლიანი გეგმის მიხედვით აჭარაში 1940 წელს იქნება 6.000 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და 6.250 ჰექტარი ციტრუსების პლანტაციები.

აჭარის მშრომელები თავდადებულად იბრძვიან, რათა შეასრულონ საყვარელი ბელადისათვის მიცემული დაპირება — მისცეთ წელს საბჭოთა კავშირის მშრომელებს 500 მილიონი ციტრუსის ნაყოფი.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული საქალაქო მეურნეობის დარგში. აჭარის დედაქალაქი ბათუმი წარმატებით იბრძვის სანიმუშო სოციალისტურ ქალაქად გადაქცევისათვის. შეუწყვეტლივ იზრდება კაპიტალური დაბანდებანი საქალაქო მეურნეობაში. განსაკუთრებით ძლიერ გაიზარდა კაპიტალური დაბანდებანი ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში. შესრულებული მუშაობის შედეგად ქალაქის სახე საფუძვლიანად შეიცვალა.

ბათუმი უნდა გადაიქცეს სანიმუშო ქალაქად კეთილმოწყობის მხრივ და გადაიქცევა კიდეც. ამის თავდებია უდიდესი მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით სწარმოებს, მუშაობა, რომელმაც შესცვალა ბათუმის სახე. ზღვის ნაპირის კეთილმოწყობამ, გამწვანებამ — წარსულში ბათუმის მეტად მივიწყებული კუთხე ყველაზე კეთილმოწყობილად გადააქცია. ამჟამად ქუჩები და გზატკეცილები, დაწყებული კულტურისა და დასვენების პარკიდან, ვიდრე მწვანე კონცხამდე, წარმოადგენენ კეთილმოწყობილ, პალმებით, კვიპაროსებითა და ყვავილებით მხატვრულად გაფორმებულ ხეივანს.

მეტად თვალსაჩინოა წარმატებები კულტურის ფრონტზე. ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის შავბნელ წარსულში აჭარა უკულტურობისა და უვიცობის მხარეს წარმოადგენდა. აბა, რა განათლება უნდა შეეტანა ხალხში კულტის დაწესებულებებს — ჯამეებს და სასულიერო სკოლებს — მედრესებს, ან იმ 25 სკოლას, რომელიც მაშინ აჭარაში არსებობდა და რომლებშიაც 2.693 მოწაფე სწავლობდა, რომელთაგან აჭარელი თითო-ოროლა იყო და ისიც არა მშრომელი აჭარელის ოჯახებიდან.

აჭარის კულტურული აღორძინება 1921 წლიდან იწყება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან განთავისუფლებული აჭარა სწრაფად იზრდება კულტურულად: მრავლდება სკოლები და მათში მოსწავლე აჭარელი ახალგაზრდების რიცხვი; სოფლები მოიფინა კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებებით.

1933 წლიდან აჭარაში შემოღებულია საყოველთაო - სავალდებულო სწავლება. ამის შედეგად სწრაფად გაიზარდა სკოლებისა და მოწაფეთა რიცხვი. 1936 წლის ბოლოსათვის აჭარაში არსებობდა 300 დაწყებითი, 58 არასრული საშუალო და საშუალო სკოლა, რომლებშიაც 28.387 მოწაფე სწავლობდა. საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში აჭარიდან მივლინებულია 300 სტუდენტი, მათ შორის 180 აჭარელი ქალი.

ამჟამად აჭარის ყოველ სოფელზე მოდის ერთი დაწყებითი სკოლა, ცარიზმის დროს კი 23 სოფელზე ერთი სკოლა მოდიოდა. თუ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს ყოველ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 15 მოწაფე, ახლა მოდის 167. ზრდა ათჯერ უფრო მეტია.

14.688 აჭარელი ბავშვი (მათ შორის 4.726 გოგონა) დედაენაზე ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს, ლენინ - სტალინის დიად მოძღვრებას და ემზადება ბედნიერი სოციალისტური ქვეყნის აქტიურ მშენებლად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარის მოსახლეობის 93 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ამჟამად კი წერა-კითხვის მცოდნეობა 84 პროცენტს უდრის.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში სამეცნიერო დაწესებულება არ არსებობდა. სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის წარმოებისათვის აჭარაში პირობები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა. დღეს აჭარაში 16-მდე სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულება არსებობს.

კულტურული მშენებლობის დარგში სახალხო ჯანმრთელობის დაცვას ერთერთი მთავარი ადგილი უჭირავს. უდავოა, რომ არცერთი მთავრობა არ ზრუნავს მშრომელთა ჯანმრთელობაზე ისე, როგორც საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა მთავრობა იბრძვის სოციალიზმის მშენებელთა სიჯანსაღისათვის, ჰქმნის სოციალისტური შრომის ჯანსაღ პირობებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ყურადღება არ ექცეოდა. მეფის რეჟიმის დროს აჭარის მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას უწევდნენ ერთი საავადმყოფო, 3 კერძო აფთიაქი ბათუმში და 3 საექიმო პუნქტი რაიონებში.

ამჟამად გვაქვს 8 საავადმყოფო 480 საწოლით, 6 პოლიკლინიკა, 11 ამბულატორია, 50 საექიმო პუნქტი, 6 საფერშლო პუნქტი, 31 სამალარიო დისპანსერი და პუნქტი, 22 საბავშვო ბაგა, 4 ქალთა და ბავშვთა კონსულტაცია.

1921 წელს აჭარაში 25 ექიმი მუშაობდა, ახლა კი მოსახლეობას საექიმო მომსახურებას უწევს 187 ექიმი და 213 ექიმის თანაშემწე. 1936 წელს აჭარაში სახალხო ჯანმრთელობის საქმეზე დაიხარჯა 5.400.000 მანეთი.

აჭარა ცნობილია თავისი კურორტებით. საქართველოს მთავრობის დახმარებით და შეუნელებელი ყურადღებით საკურორტო მშენებლობამ აჭარაში სწრაფად წაიწია წინ. 1931 წლიდან დღემდე აგებულია მთელი რიგი ახალი საკურორტო დაწესებულებანი, წელს ნავარაუდევია მშენებლობის კიდევ უფრო გაფართოვება.

დღევანდელ აჭარაში გამოვლინებულია 70-მდე მინერალური წყალი, რომელთაგან რამდენიმე ათეულს გაუკეთდა ქიმიური ანალიზი. ანალიზმა ცხადჰყო, რომ ბევრი მათგანი დიდი ღირსებისაა და ამავე დროს დიდი დებეტიც აქვს.

უდავოა, რომ აჭარის კურორტებზე დიდი მუშაობა იქნა შესრულებული. ისინი ამჟამად აღმავლობის გზაზე იმყოფებიან. მიუხედავად ამისა, საკურორტო მშენებლობა მაინც ჩამორჩენილია და ვერ დგას პარტიისა და ხელისუფლების მიერ მოთხოვნილ სიმაღლეზე. მართალია, ქობულეთში უკანასკნელი წლების განმავლობაში აგებულ იქნა 2 სასტუმრო 90 ოთახით, მოეწყო კურზალი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ააგეს ელექტროსადგური, კაპიტალურად შეაკეთეს ყველა აგარაკი და სანატორიუმი, გაიხსნა პოლიკლინიკა, მახინჯაურში მოეწყო სასტუმრო, გადიდდა სანატორიუმის ფონდი, საკურორტო სამმართველოს გადაეცა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტი და სხვა, — მაგრამ ჩვენი კურორტები ჯერ კიდევ სუსტნი არიან კლინიკურად და ხარისხობრივად, არ არიან საჭიროებისამებრ კეთილმოწყობილი, მათ ჯერ კიდევ ვერ მიიღეს ყოველმხრივ კულტურულად მოწყობილი კურორტების სახე.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სანიმუშოდ მოვაწყოთ ჩვენი კურორტები და ნამდვილად გავხადოთ ისინი ჯანრთელობის საკავშირო მნიშვნელობის სამჭედლოდ.

საბჭოთა ხელისუფლების 16 წელი აჭარაში — უდიდეს გამარჯვებათა და მიღწევათა წლებია. შეიცვალა ჩვენი ქალაქებისა და სოფლების სახე, განუზომლად გაიზარდა ქვეყნის საწარმოო ძლიერება, შეუჩერებლად იზრდება მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფა და კეთილდღეობა. ეს წარმატებანი მოპოვებულია ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საყვარელი ამხანაგის, ქართველი ხალხის წინამძღოლის ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობისა და ყოველდღიური დახმარების შედეგად.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ, მის საფუძველზე აჭარის მშრომელებიც შეიმუშავებენ თავის კონსტიტუციას — შესანიშნავ ისტორიულ დოკუმენტს. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია კიდევ უფრო დააკავშირებს სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აჭარის ხალხს ქართველ ხალხთან და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან.



თბილისის დეპოს სტახანოველმა მემანქანემ ორდენოსანმა ამხ. ნიკო მგელაძემ ორჯონიკიძის ქუჩაზე რკინიგზელთა ახლად აგებულ სახლში მიიღო კარგად მოწყობილი სამოთახიანი ბინა სამზარეულოთი და აბაზანით. სურათზე: ორდენოსანი ნ. მგელაძე თავისი ოჯახით ახალ ბინაში.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## ამხ. ტელმანი — აცანის კოლმეურნეობის საპატიო წევრი

ლანჩხუთი, 16 მარტი (საქდესი). როგორც პრესაში უკვე იყო გამოქვეყნებული, აცანის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ამხ. ერნსტ ტელმანი აირჩია საპატიო კოლმეურნედ.

1936 წლის განმავლობაში ამხ. ტელმანს კოლმეურნეობაში ჩაუთვალეს 220 შრომადღე, რაც ფულადი გამოხატულებით უდრის 1.628 მანეთს.

ამ თანხიდან 900 მანეთი კოლმეურნეობამ უკვე გადარიცხა რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშზე ამხ. ტელმანისათვის გადასაგზავნად. ტელმანს შრომადღეებში აგრეთვე ერგება 365 კილოგრამი სიმინდი, 9 კილოგრამი კაკალი, 28 ლიტრი ღვინო. ამ პროდუქტების ღირებულება, იმ დანარჩენ ფულთან ერთად, რომელიც ამხ. ტელმანს ერგება, ამ დღეებში გადაირიცხება რემედის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშზე აცანის კოლმეურნეობის საპატიო კოლმეურნისათვის გადასაცემად.

◇ ◇ ◇

## საქართველოს ექსპონატები პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე

შერჩეული და გაგზავნილია პარიზის საერთაშორისო გამოფენისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიღწევათა დამახასიათებელი ექსპონატები. ამ ექსპონატებს ამჟამად ამოწმებენ საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა პავილიონის კომისართან არსებულ სპეციალურ კომისიაში. მიღებული ცნობებით კომისიამ მოიწონა და მიიღო სა[illegible]

სოფლის მეურნეობის მდგომარეობის დასახასიათებლად წარდგენილია ფოტოდოკუმენტები, დიაგრამები და ტაბულები. სუბტროპიკული კულტურების შესახებ კი ექსპონატებს ამზადებს საკავშირო მიწსახკომის სუბტროპიკულ კულტურათა სამმართველო.

წარდგენილია აგრეთვე დიდძალი ექსპონატები ხელოვნების დარგიდან (სახვი[illegible]

[illegible]

## შრომის სწავლების გაუქმება სკოლებში

[illegible]

თანხები მთლიანად გამოყენებული იქნება ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტებისათვის.

შრომის ყოფილი მასწავლებლები, რომელთაც დამთავრებული აქვთ შრომის ზედტექნიკუმი ან მათთან გათანასწორებული სასწავლებლები, გაივლიან ორთვიან გადასამზადებელ პედკურსებს და [illegible] სამზადებლად. შრომის საათების ხარჯზე გადიდებულია საზამთრო არდადეგები 30 დეკემბრიდან 12 იანვრამდე (ჩათვლით) და საზაფხულო არდადეგები—5 დღით. დასამთავრებელი და კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდები, გასული წლის 25 მაისის ნაცვლად, 20 მაისიდან დაიწყება.

## მზადება შოთა რუსთაველის იუბილესათვის საქართველოს კოლმეურნეობებში

ქუთაისი, 16 მარტი (საქდესი). კოლმეურნენი, სოფელ გეგუთისა, რომლის ახლოს აღმართულია ციხე-სასახლის—შოთა რუსთაველის ეპოქის ძეგლის ნანგრევები, გაცხოველებით ემზადებიან უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნის" შემოქმედის დაბადების 750 წლისთავისათვის.

მუშაობის შემდეგ საკოლმეურნეო კლუბში ხშირად იკრიბება ახალგაზრდობა, რათა მოუსმინოს მოხუცებს ვარდენ ლალიაშვილს და ალექსანდრე ჯანჯღავას, რომლებმაც ზეპირად იციან „ვეფხის ტყაოსნის" მთელი ადგილები და შეუძლიათ მათი მხატვრულად გადმოცემა. ვ. ლალიაშვილმა და ა. ჯანჯღავამ იციან აგრეთვე პოემის რამდენიმე საუკეთესო ხალხური ვარიანტი.

კოლმეურნეობის „ოქტომბრის" წევრს 90 წლის ბიჭია გაბუნიას კარგად ახსოვს ის დრო, როდესაც გეგუთის სასახლე არ იყო მთლად დანგრეული, მთელი იყო ცალკეული მისი ნაგებობანი და მისი კედლები ფრესკებით იყო დაფარული. ბიჭია გაბუნია კითხულობს „ვეფხის ტყაოსნის" ცალკეულ სტროფებსა და ზეპირად იცის შოთა რუსთაველის ბევრი შესანიშნავი აფორიზმი.

სოფელ გეგუთის ბიბლიოთეკამ შეიძინა შოთა რუსთაველის პორტრეტი, რამდენიმე ცალი „ვეფხის ტყაოსანი", შეაგროვა ჟურნალ-გაზეთებიდან მასალები დიდი ქართველი პოეტის შესახებ და მოაწყო „შოთა რუსთაველის კუთხე".

იუბილესათვის გაცხოველებით ემზადება გეგუთის საშუალო სკოლა. სკოლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა თვალავაძემ რამდენიმე მოხსენება და საუბარი მოაწყო. გეგუთის სასახლის ნანგრევების, გელათის ისტორიული ძეგლებისა და ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევების დასათვალიერებლად გაიმართება სკოლის ექსკურსიები. სკოლის მოწაფენი ეცნობიან აგრეთვე შოთა რუსთაველის ეპოქის ექსპონატებს, რომლებიც იმყოფებიან ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განკარგულებაში.

○

ლანჩხუთი, 16 მარტი (საქდესი). რაიონში უკვე დიდი ხანია ემზადებიან დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილესათვის. ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში რაიონის კოლმეურნეობებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებში დაარსეს „ვეფხის ტყაოსნის" შემსწავლელი 18 წრე. წრეებს მიამაგრეს კვალიფიციური ხელმძღვანელნი.

ლაშის-ღელის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წრეში მოაწყეს 33 მეცადინეობა, რომელსაც სისტემატურად ესწრებოდა 20 კოლმეურნე.

კოლმეურნეებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა გამოიწერეს 1.477 ცალი „ვეფხის ტყაოსანი" და შოთა რუსთაველის 536 პორტრეტი.

## თბილისის საგარეუბნო კურორტებზე

თბილისის საგარეუბნო კურორტებზე წლის საზაფხულო საკურორ[illegible]

440-მდე. გარდა ამისა, წელს შემოღებულია საკურორტო სახლებში საბი[illegible]

## ჭადრაკი

[illegible]

გამოიყენა პოზიციური უპირატესობა, ზუსტი თამაშით მოწინააღმდეგე ჩააყენა ეგრეთწოდებულ „ცუგცვანგის" მდგომარეობაში და მოუგო პარტია.

სერედა და კანკავა გაუთამაშებლივ შეთანხმდნენ ყაიმზე.

შიშოვმა ეტლების ენდშპილში ზუსტი თამაშით აიძულა მალუწცევი დაეთმო პარტია.

მალუწცევმაც თავის მხრივ ეტლების ენდშპილში მოუგო სოროკინს.

სოროკინის წინააღმდეგ ნერსესოვმა ხელიდან გაუშვა ყაიმის მარტივი შესაძლებლობა და წააგო პარტია.

ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ შიშოვმა წააგო ხოტელაშვილთან. ხოტელაშვილმა ამ მოგებით შეაგროვა 5½ ქულა. ეს კი მას ანიჭებს საკავშირო პირველი კატეგორიის ხარისხს. უნდა ითქვას, რომ ხოტელაშვილმა სავსებით დაიმსახურა ეს ხარისხი და კიდევ უკეთესი შედეგების მიღწევას შესძლებს, თუ გამოიმუშავებს თამაშის უფრო მეტ სიდინჯეს.

### უკანასკნელი ტურის შედეგები

ფალავანდიშვილმა მოუგო კანკავას, კასპარიანმა — ნერსესოვს, შიშოვ-ებრალიძის და სერედა-ვეიზერის პარტიები ყაიმით დამთავრდა, ჩოგლიძე-ხოტელაშვილის, სოროკინ-ასოვსკის და მალუწცევ-ფირცხალავას პარტიები არ დამთავრებულა და გადაიდო.

ტურნირის საბოლოო შედეგები შემდეგია: კასპარიანი +11, ებრალიძე და ვეიზერი +8½, ფალავანდიშვილი +7½, ჩოგლიძე და ფირცხალავა +7 და ერთი გადადებული, შიშოვი +7, მალუწცევი +6, 1 გადადებული, სოროკინი და ხოტელაშვილი +5½ და ერთი გადადებული, ასოვსკი +5 და ერთი გადადებული, სერედა +5, კანკავა +3 და ნერსესოვი +1½.

თბილისის ჩემპიონის სახელის მისაღებად გათამაშდება მატჩი ებრალიძესა და ვეიზერს შორის.



საჰაერო ქსელის გაყვანა თბილისში, პლეხანოვის პროსპექტზე, სატროლეიბუსო მოძრაობისათვის.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)



საქართველოს მუშა-ახალგაზრდობის სახელმწიფო თეატრი. — „გაგრძელება იქნება" — ა. ბრუნშტეინისა, დადგმა ა. მიქელაძისა. სურათზე: მე-4 მოქმედების პირველი სურათი.

# ხელოვნება

## საყურადღებო სპექტაკლი

საქართველოს მუშა-ახალგაზრდობის სახელმწიფო თეატრმა თავის პირველ პრემიერად მიმდინარე სეზონში გვიჩვენა ბრუშტეინის პიესა — „გაგრძელება იქნება". ის დიდი ინტერესი, რომელიც სპექტაკლმა გამოიწვია, აიხსნება ერთი მხრით თემატიური მასალის აქტუალობით, მეორე მხრით თეატრის ახალგაზრდა კოლექტივის მხატვრული მომზადებით.

ბრუშტეინის პიესაში მოცემულია წინა დღე ფაშისტური გადატრიალებისა გერმანიაში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღალატურმა პოლიტიკამ გზა გაუკაფა გერმანიის ფაშიზმს ხელისუფლებისაკენ. სწორედ ეს მომენტია ასახული პიესაში. მასში მოხაზულია ერთი ოჯახის დრამა, აღმოცენებული ფაშისტური გადატრიალების ნიადაგზე; მაგრამ ეს ოჯახური დრამა ისეთ პრიზმაშია გატარებული, რომ სცილდება ოჯახურ ფარგლებს და მაყურებელი გრძნობს გერმანიის მშრომელი ხალხის ტრაგედიას.

როგორ შესძლო მუშა-ახალგაზრდობის სახელმწიფო თეატრმა ბრუშტეინის პიესის მხატვრული განსახიერება? პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლი დაწყებიდან დამთავრებამდე სარგებლობს თეატრალური აუდიტორიის ცოცხალი, ინტენსიური ყურადღებით. როდესაც უყურებთ სპექტაკლს, გრძნობთ, რომ დადგმაში ყოველმა, მცირე როლის შემსრულებელმაც კი იცის თავისი ადგილი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფესორ ვედელის როლი. ეს ხომ მთელი საბრალმდებლო აქტია გერმანიის ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ! პროფესორი ვედელი მშვენივრად განასახიერა მსახიობმა ა. მამრიკაშვილმა. თქვენს თვალწინ დგას ნამდვილი მეცნიერი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მეცნიერების დიად სამსხვერპლოს. წელთა ხანდაზმულობას თავისი ბეჭედი მხოლოდ პროფესორის თეთრ წვერისათვის დაუმჩნევია, ხოლო მისი სულიერი სწრაფვა მეცნიერების მაღალი მწვერვალებისაკენ ისეთივე ძალუმია, როგორ სიჭაბუკის წლებში.

და აი, როდესაც სისხლიანი ფაშიზმი ამ მეცნიერის რწმენას სულში აფურთხებს, პროფესორი თავისი ნათელი გონებით მიხვდება, რომ მეცნიერება და ფაშიზმი ერთად ვერ იცხოვრებენ. ეს ტრაგიზმი მეცნიერული აზრისა ფაშისტურ გერმანიაში — საუკეთესოდ განასახიერა ახალგაზრდა არტისტმა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდი მუშაობა, რომელიც გასწია რეჟისორმა ალ. მიქელაძემ სახეების სრულყოფილად გამოქანდაკებისათვის. ეს პირველი სპექტაკლია, რომელიც მუშა-ახალგაზრდობის თეატრმა უჩვენა თბილისის თეატრალურ აუდიტორიას. აუდიტორიამ ახალგაზრდა კოლექტივი გულთბილად მიიღო. მაყურებელთა მხურვალე ტაშმა დაადასტურა მისი გამარჯვება.

დ. ბენაშვილი

## სამეცნიერო კავშირი მსოფლიოს 38 ქვეყანასთან

სოხუმი, 16 მარტი (საქდესი). მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის საინტროდუქციო სანერგეს მუდმივი კავშირი აქვს მთელი მსოფლიოს სამეცნიერო დაწესებულებებთან და უცხოეთის ცალკეულ დიდ სპეციალისტებთან.

მუდმივი მიმოწერა სწარმოებს ამერიკის, ევროპის, აფრიკისა და ავსტრალიის 38 ქვეყნის კორესპონდენტთან.

გასულ წელს სანერგის მეცნიერულმა მუშაკებმა საზღვარგარეთიდან მიიღეს 433 წერილი, 44 კატალოგი, 512 სახელწოდების უცხოეთის ლიტერატურა, 1.714 ნიმუშის თესლი და 640 ჯიშის ცოცხალი მცენარე. ამ გაცვლა - გამოცვლის ფონდმა დიდი როლი ითამაშა სანერგის პრაქტიკული მუშაობის გასაშლელად.

◇

## ს. ორჯონიკიძის ბიუსტები

საქართველოს მხატვართა კავშირის დაკვეთით თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტები: გ. ვარაზაშვილი, გ. გეორქიანი, დ. ჩხაიძე, გ. ცომაია და სტუდენტი ქალი ლ. ბადრიძე მუშაობენ დიდი რევოლუციონერისა და ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლის — სერგო ორჯონიკიძის ბიუსტებას გამოძერწვაზე.

სტუდენტები უახლოეს დღეებში დაამთავრებენ მუშაობას, რის შემდეგ ბიუსტები გადაეცემა საქართველოს მხატვართა კავშირს.

# ახალი ამბები

# ბათუმში გაიხსნა ბავშვთა ქორეოგრაფიული სკოლა, რომელშიაც ისწავლის ქალაქის სკოლების 39 მოწაფე. მოწაფეთა შორის არიან ქართული ხელოვნების მოსკოვის დეკადის ორი მონაწილე — ახალგაზრდა მოცეკვავენი ფარიკ კიშლი-ოღლი და გივი ოდიკაძე.

# გაგრაში, სტალინის სახელობის სანატორიუმში გაიხსნა გაზაფხულ-ზაფხულის საკურორტო სეზონი. საზაფხულო საკურორტო სეზონისათვის მზადება დანარჩენ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ძირითადად დამთავრებულია.

# ქუთაისის ს. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტთან გაიხსნა ქუთაისის აეროკლუბის ფილიალი. ფილიალში 75 სტუდენტი სწავლობს ფრენოსნობას.

# კიროვის სახელობის საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის სამკუთხედმა რესპუბლიკური ესპანეთის დასახმარებლად გამართა მხატვრული საღამო. შემოსავალი 1.440 მანეთის რაოდენობით გადარიცხულია დანიშნულებისამებრ.

◇

## ახალი წიგნები

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ა. პუშკინის რჩეული ნაწერების თარგმანები.

„ფედერაციამ" გამოსცა ილია ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების კრებული. არჩილ ჯაჯანაშვილის რომანი „ნაგერალი" და კონსტ. ჭიჭინაძის პოემა „შუა-აზია".

გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების მეოთხე ტომი, რომელშიაც დაბეჭდილია ნარკვევები მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან.

# ბიბლიოგრაფია

## პუშკინის დისკრედიტაციის წინააღმდეგ

პუშკინის ისტორიული მოთხრობის „კაპიტნის ქალიშვილის" სახელგამის მიერ ქართულ ენაზე გამოსვლა ღირსშესანიშნავი მოვლენაა. სარეცენზიო წიგნის მნიშვნელობის დახასიათებას აქ არ შევუდგებით, აქ ჩვენ გვაინტერესებს, თუ ზოგჯერ როგორი კომენტატორები მოეპოვება უკვდავ პუშკინს. მეტად საინტერესოა ამ მხრივ ალი არსენიშვილის სტატია „ა. პუშკინი", რომელიც წამძღვარებული აქვს „კაპიტნის ქალიშვილის" ქართულ თარგმანს.

არსენიშვილი სრულიად არაორაზროვნად სწერს: „მისი (პუშკინის—გ. ს.) აზრით დეკაბრისტების აჯანყება მიზნად ისახავდა ისტორიულად დეკლასირებული ძველი გვაროვნული თავადაზნაურობის უფლებათა აღდგენას".

ეს არის ცილისწამება პუშკინზე. რას უნდა ფიქრობდეს ადამიანი, რომელიც ასე უტიფრად იხსენიებს „ჩაადაევისადმი" მიძღვნილი ასეთი შესანიშნავი სტრიქონების ავტორს:

„ამხანაგებო, გწამდეთ: ამოვა
ბედნიერების მზე მოჩახჩახე.
აღარ იქნება სიძნელე, გლოვა,
აღარც მონობა, არც სივაგლახე".

არსენიშვილი ამით არ კმაყოფილდება, იგი უფრო „ანვითარებს" თავის ყალბ დებულებას და სწერს: „დეკაბრისტთა დამარცხების შემდეგ პუშკინის შეგნებაში დიდი გარდატეხა ხდება, იგი თანდათან შემარჯვენდება, საბოლოო ანგარიშით დგება კონსერვატიულ პოზიციაზეო", (ხაზი ჩემია. გ. ს.).

გასაგებია ამის შემდეგ, რატომ არსენიშვილი აშკარად გვერდს უვლის და ერთ სიტყვასაც არ ამბობს პუშკინის ისეთ რევოლუციურ სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსებზე, როგორიცაა „ციმბირში დეკაბრისტებს", „მეგობრებს".

ალი არსენიშვილის „პოზიცია" შემთხვევითი არაა. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირების" ქართულ გამოცემაში, რომელსაც აგრეთვე წამძღვარებული აქვს არსენიშვილის სტატია „მ. ლერმონტოვი" ვკითხულობთ: პუშკინის დამსახურება „უმთავრესად გამოიხატა ახალი ლიტერატურული ენის და სტილის დამკვიდრებაშიო".

აქ მთლიანად უგულებელყოფილია პუშკინის დამსახურება, როგორც პოეზიის ჭეშმარიტი მამისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ რუსულ ლიტერატურას. პუშკინი წარმოდგენილია იდეოლოგიურ - პოლიტიკური რაობის გარეშე. ყოველ შემთხვევაში ის ამ მხრივ არ არის საინტერესო არსენიშვილის აზრით. ეს ყალბი დებულება თავიდან ბოლომდე გატარებული სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობაში.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ ერთ ადგილს არსენიშვილის ყოვლად უპასუხისმგებლო სტატიიდან, ავტორი, ცდილობს რა „კაპიტნის ქალიშვილის" საფუძველზე დაგვიხასიათოს პუშკინი, სწერს: „პოეტი აქ ნათლად ამჟღავნებს თავის კონსერვატიზმს, რომელიც არაფერს არ თმობს. უდიდეს გლეხურ მოძრაობას, რომელსაც კი ადგილი ჰქონია რუსეთის ახალ ისტორიაში, იგი გადმოგვცემს თავადაზნაურულ თვალსაზრისით" (ხაზი ჩემია. გ. ს.).

საერთოდ, არსენიშვილი მიმართავს პუშკინის შემოქმედების მხოლოდ და მხოლოდ ფორმალისტურ და აშკარა ნიჰილისტურ გარჩევას და ამით ეწევა უდიდესი რუსი პოეტის დისკრედიტაციას.

გ. სამოვი

◇

# პარტკალენდარი

## ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 19 მარტს

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ლენინ-სტალინის ბრძოლა III კომუნისტური ინტერნაციონალისათვის. საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ლენინისა და სტალინის ბრძოლა კონტრრევოლუციურ ტროცკიზმთან სახელმწიფოსა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში. საღამოს 7 საათზე.

— სტალინის რაიკომის პარტგანათლების სახლში, 19 მარტს, საღ. 7 საათზე გაიმართება რაიკომთან არსებულ აგიტატორთა სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე „ბუხარინის და რიკოვის ბრძოლა ლენინისა და პარტიის წინააღმდეგ".

— 26 კომუნარის რაიკომის პარტკაბინეტში 19 მარტს, საღამოს 7 საათზე პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება პროფ. ათაბეგოვის ლექცია ეკონომიური გეოგრაფიიდან თემაზე: „საქართველოს სს რესპუბლიკა".

— ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში 19 მარტს, საღამოს 7 საათზე პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის ქართულ ენაზე გაიმართება კონსულტაცია თემაზე: „ბუხარინისა და რიკოვის ბრძოლა ლენინისა და პარტიის წინააღმდეგ".

ლევან ეზანოიძე

# ქართული პრესა და პარიზის კომუნა

66 წლის წინათ პარიზის გმირულმა პროლეტარიატმა უმაგალითო თავდადებულ კლასობრივ ბრძოლაში დაამხო ტიერის კონტრრევოლუციონური მთავრობა და 72 დღის განმავლობაში შეინარჩუნა სახელმწიფო ძალაუფლება.

პარიზის კომუნა საერთაშორისო მნიშვნელობის უდიდესი მოვლენა იყო. მთელი მსოფლიოს ექსპლოატატორული კლასები და მათი მთავრობები ყოველგვარ სისაძაგლეს მიმართავდნენ პარიზის კომუნარების სახელის გასატეხად; არ დარჩენილა ისეთი ცილისწამება და პასკვილი კომუნის ლაფში ამოსასვრელად, რომ მათ არ მოეგონებინა.

ძლიერ აღშფოთა და გააბოროტა პარიზის კომუნამ რუსეთის ბურჟუაზია, მემამულეები, თვითმპყრობელობა. რუსეთის ცენტრალურ რეაქციურ გაზეთებთან ერთად კავკასიის მმართველობის ოფიციალური ორგანოები საზიზღარ პროვოკაციულ და ყალბ ცნობებს ავრცელებენ კომუნის შესახებ. ისინი ვეღარ ითმენენ ჯალათი ტიერის „მოცდის" პოლიტიკას და დაჟინებით მოითხოვენ კომუნის დაუყოვნებლივ განადგურებას. „საფრანგეთი ტიერს შეცდომებს აპატიებს, უმოქმედობას კი არა" — 1871 წ. 16 აპრილის ნომერში სწერს გაზ. „თერგის უწყებები".

მაგრამ როგორც მთელს მსოფლიოში, ისე რუსეთში და საქართველოშიაც პარიზის კომუნას გააჩნდა მტრების გარდა მრავალმილიონიანი მეგობრებიც. ეს იყო მთელი ქვეყნის მუშათა კლასი და ჩაგრული ხალხები.

„პარიზის ზარბაზნების ჭექა-ქუხილმა გამოაფხიზლა ღრმა ძილში წასული პროლეტარიატის ჩამორჩენილი ფენები და ყოველგან ნიადაგი მოამზადა რევოლუციურ სოციალისტური პროპაგანდის გასაძლიერებლად".

დიდი ლენინის ეს ბრწყინვალე სიტყვები სავსებით შეიძლება გავრცელებულ იქნას საქართველოზედაც. პარიზის კომუნის პირდაპირ გავლენით ჩვენში რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, როგორც მაგალითად შვეიცარიაში და სხვაგან, მაგრამ კომუნარების საარაკოდ გმირულმა ბრძოლებმა ნიადაგი მოუმზადეს სოციალისტურ პროპაგანდას საქართველოში.

70 წლების საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე რევოლუციურად განწყობილი ნაწილი, რომელიც ხალხის მისწრაფებათა ასახვას ცდილობდა, გულთბილი თანაგრძნობით შეხვდა პარიზის კომუნის გამარჯვებას. ისინი თავიანთ შეხედულებებს გაზ. „დროების". ჟურნალი „კრებულის" და „მნათობის" საშუალებით გამოთქვამდნენ. ყველაზე უკეთ ფართოდ და ცხადი სიმპატიით პარიზის კომუნას გაზ. „დროება" გამოეხმაურა. მკაცრი ცენზურული პირობების მიუხედავად გაზეთმა როგორღაც შესძლო ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცნობების ბეჭდვა კომუნის შესახებ, როგორიცაა: კომუნის ჯარების ერთ-ერთი ხელმძღვანელის ნატანიელ „როსელის დღიური", კომუნის წევრის რეკლიუს საბრალმდებლო წერილი ტიერისადმი, პარიზის დამცველ ქალთა საზოგადოების პროკლამაცია და კომუნის სხვა და სხვა მოწოდებების მანიფესტები და დეკრეტები.

საყურადღებოა, რომ გაზეთი ომში საფრანგეთის დამარცხების მიზეზად ლუი - ნაპოლეონის სახელმწიფო მმართველობის საბოლოოდ გახრწნილ და ძირმომპალ სისტემას ასახელებს. „დროება" წერს: „მთელი ოცდაორი წელიწადი საფრანგეთს ავაზაკები და ქურდები განაგებენ"-ო (№ 31). აქვე შესანიშნავად არის აღნიშნული ის, რომ „როგორც ყოველთვის, საფრანგეთის დამარცხებამ ყველაზე უფრო მომეტებული ზიანი უიმისოდაც ღარიბ და შეუძლო ხალხს მოუტანა".

გაზეთი მკაფიოდ ამჩნევს ტიერის კონტრრევოლუციური მთავრობის საზიზღარ ექსპლოატატორულ ბუნებას და სამართლიანად თვლის მას ეროვნული ღალატის მთავრობად. „ყოველ მის მოქმედებას—წერს „დროება"—ყოველ განკარგულებას ეს ერთი ცხადი აშკარა მიზანი ჰქონდა, შემძლე საზოგადოების, ბანკირების, მედუქნეების, (ბურჟუას) დაკმაყოფილება, ნამდვილი პატრიოტების ალაგმვა. მუშა ხალხს, რომელიც ყოველგან ჯარის უმეტეს ნაწილს შეადგენს, ეს მმართველობა ისე ეპყრობა, თითქოს მტერს". ახსნა-განმარტების გარეშეც ნათელია, რომ გაზეთი აქ მართებულად აფასებს საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკას, რომელიც ტიერის მეთაურობით მტარვალურად უსწორდებოდა მშრომელ ხალხს და მის რევოლუციურ ავანგარდს.

ასე უარყოფითად შეხვდა გარყვნილი ტიერის უმსგავსო ბურჟუაზიულ რესპუბლიკას საქართველოს რადიკალურად განწყობილი ინტელიგენციის ნაწილი და მისი აზრის გამომხატველი პრესა. სამაგიეროდ სიხარულითა და სიმპატიით შეხვდა იგი ბურჟუაზიული რესპუბლიკის განდევნას და პარიზის კომუნის გამოცხადებას. გაზ. „დროება" სისტემატურად ფართოდ და თანაგრძნობით აშუქებს კომუნარების გმირულ თავდადების ამბებს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს უმაგალითო თავგანწირვას პარიზელი ქალებისა, რომელნიც უკვე აღარ კმაყოფილდებიან მარტო დაჭრილთა მოვლით და ქმრებისა და ძმების გამხნევებით.

„ახლა თვითონ იმათ შეუდგენიათ მილიციები, ჩაუცვამთ სამხედრო ტანისამოსი, შუაგულ ცეცხლში მიდიან თურმე და გაცხარებით ებრძვიან ვერსალის ჯარებს".

„დროების" ფურცლებზე თანაგრძნობით არის მოხსენებული კომუნის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიცაა მაგალითად ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორება, სავალდებულო საერთო სწავლების შემოღება, ყველა თანამდებობის პირთათვის ხელფასის მაქსიმუმის დაწესება, ემიგრირებული კაპიტალისტების ფაბრიკა-ქარხნების გადაცემა მუშათა ასოციაციებზე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ „დროება"-ში ცხვდებით მითითებას მარქსის ინტერნაციონალის დახმარების შესახებ კომუნისადმი. „ამბობენ, რომ პარიზის მუშებს ლონდონისა და ბერლინის კომიტეტებიდან მოსდიოდათ ინსტრუქცია და დარიგება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი და როგორ უნდა წაეყვანათ არეულობის საქმე. ამბობენ, რომ ახლანდელი პარიზის რევოლუციის პლანები ლონდონში დაუწყვიათ მარქსს, ახის, ზენტინისა და დარმონტს".

კომუნისადმი ძლიერ სიმპატიებს ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში დიდი აღშფოთება და მწუხარება გამოიწვია მისმა დამარცხებამ. განსაკუთრებით გულისწყრომა და რისხვა დაიმსახურა ტიერისა და გალიფეს უღირსად საზიზღარმა მტარვალობამ და მხეცურმა გასწორებამ კომუნარებთან.

„ტანში ჟრუანტელი უვლის კაცს, როცა იმ ამბებს კითხულობს, რომელნიც პარიზში მომხდარან და ამჟამადაც ხდებიან. პარიზის მეოთხედი ნაწილი გადამწვარია თურმე, ვერსალის ჯარის ჯერჯერობით ათას კაცზე მეტი დაუხვრეტია ინსურგენტების მხრით, ახლა პარიზში შესვლის დროს რამდენი მოკლეს, რამდენი სასიკვდილოდ დასჭრეს ვინ მოსთვლის"—სწერს „დროება".

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პარიზის კომუნის დამარცხება არ გადაქცეულა უიმედო სასოწარკვეთილებად და რევოლუციისადმი რწმენის დაკარგვად. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ყველაზე უფრო პოპულარულმა საზოგადო მოღვაწემ და უდიდესმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ კომუნის დამარცხების გამო სპეციალურად ლექსი დასწერა სათაურით—„პარიზი", სადაც ის ამ დამარცხებას ისტორიის მხოლოდ შეფერხებად სთვლის:

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შედგნენ ძალნი

ხოლო რევოლუციურ - დემოკრატიულად განწყობილი დ. ზურაბიშვილი გადაჭრით ამტკიცებს, რომ „მხეცური ინსტიქტები ვეღარ იმეფებენ დიდხანს, სანატრელი დღის მოახლოვება ჩვენზევე არის დამოკიდებული. ვებრძოლოთ ხალხის დამჩაგვრელ მიზეზებს. წინალუდგეთ მხნეთ ბოროტებას და ეჭვი არ არის ვნახავთ გამარჯვების დღეს".

გარდა ამისა ქართულ პრესაში გვხვდება პარიზის კომუნის შეფასება და კრიტიკაც, მაგრამ სწორედ აქ გამოირკვა ამ კრიტიკის მოუმწიფებლობა და სისუსტეც. მაგალითად, ერთ ერთ მიმოხილვაში ავტორი ეხება კომუნის დამარცხების მიზეზებს, ძირითად მიზეზს ვერ სწვდება და დამარცხების თითქმის ერთადერთ მიზეზად ერთიანი სამხედრო გეგმას, და სამხედრო ერთმმართველობის უქონლობას ასახელებს.

მხოლოდ მარქს-ლენინმა აგვიხსნეს მეცნიერულად პარიზის კომუნის დამარცხების ნამდვილი მიზეზები.

გაზეთ „დროება" ხელმოუწერელ ფელეტონში „რა არის კომუნა?" ცდილობს გააშუქოს, რას წარმოადგენს პარიზის კომუნა და რას ეწოდება კომუნიზმი. ამ საკითხშიაც გამოაშკარავდა რომ კომუნის თანამედროვე მოღვაწეებს საქართველოში არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა პარიზის კომუნაზე.


ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

| | |
|---|---|
| 18-III | დილით ბედების ტბა დას. 12 ს. საღამოს—ქეთო და კოტე |
| 19-III | სიმფონიური კონცერტი დირიჟორი ევგენი მიქელაძე ხელოვნების დამს. მოღვ. სოლისტები ფურერი და გუტმანი. |

დასაწყისი სრულ 8 საათზე.
21 მარტიდან რიგდება მუდმივი ადგილების დამატებითი ბილეთები.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

| | |
|---|---|
| 18-III | შემოდგომის აზნაურები |
| 20-III | ალკაზარ |

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

| | |
|---|---|
| 18-III წარ. № 127 | მორეელი |
| 20-III წარ. № 128 | იცკა რიქინაშვილი |

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

| | |
|---|---|
| ოქტომბერი 5-30, 8, 9-30. 11 | ახ. ხმოვანი ფილმი ფედკა |
| დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11 | ახალი ხმოვანი მხატვ. ფილმი ალმასი |
| კომკავში რილი 6-30, 8-30, 10-3 | დადგმის მე-2 თვე დარიკო |
| რ. ლუქსემბ. 6, 7-40, 9-20, 11 | დადგმის მე-2 კვირა ხმ. სურათი უმზითვო საპატარძლო |
| 26 კომ. სახ. 6, 7-30, 9-30 | ხმოვ. მხატვ. ფილმი მოგზაურობა არზრუმს |
| ახალი ამბები | ესპ. ამბები მე-14 გამოშვ. ხმ. ჟურნალები № 6 და 7. |

სახცირკი ტელ. 3-11-44

დღეს, 18 მარტს დღისით დიდი წარმოდგ. ახ. პროგრამით ახლად ჩამოსულ გასტროლიორთა მონაწილეობით. დასაწ. 2 ს. ორი ბავშვი ერთ ბილეთზე, უფროსთან ერთი ბავშვი უფასოდ.

საღამოს ფრანგ. ჭიდაობის ჩატჩების მე-18 დღე. ჭიდაობს 3 წყვილი

1. ყარა მუსტაფა—ბურევოი
2. მ. ზაბალიკაშვილი—კარელინი.
3. სარევანშო ჭიდაობა შახნაზაროვი—ნ. ვერდენი

წარმ. დასაწყ. 8 ს. 30 წ. ჭიდ.—10 ს. 30 წ.

19 მარტს ფრანგული ჭიდაობის ჩატჩების მე-19 დღე.

# ყურადღება!!!

თბილმრეწვვაჭრობის მაღაზია „გასტრონომია"

(ლენინის ქ. № 10). ტრამვაი 1, 2, 5.

18 მარტიდან გადავა სადღესასწაულო ვაჭრობაზე

მაღაზიას მუდამ აქვს დიდი რაოდენობით:

გასტრონომია, ღვინო-არაყის ნაწარმი, საკანდიტრო ნაწარმი, ხილის და მინერალური წყლები.

სწარმოებს დაკვეთების წინასწარი მიღება შინ მიტანით.

ტელ. № 3-50-68.

45

დირექცია.




მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3—8547